კავკასიის საერთაშორისო

უნივერისტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამაგისტრო

პროგრამის

სტუდენტი - ლიზიკო ფიფია

სამაგისტრო ნაშრომი

საერთაშორისო ტერორიზმის ფაქტორი კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ახალი გამოწვევის კუთხით - ,,კავკასიის ისლამური საამიროს“ მაგალითზე

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო

ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: კავკასიის საერთაშორისო უნივერისტეტის პროფესორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ექსპერტი ვახტანგ მაისაია

თბილისი 2019

Annotation

"The Factor of International Terrorism in the Context of the New Challenge of Caucasus Regional Security"- on the basis of the Example of the "Islamic Emirate of Caucasus "

The following master's thesis "The Factor of International Terrorism in the Context of the New Challenge of Caucasus Regional Security"- on the basis of the Example of the "Islamic Emirate of Caucasus " investigates the ideology of Islamic Wahhabism, the factors and threats related to its establishment and the spread in the North Caucasus region. As an example, the creation of the Caucasus Islamic Emirate, its preconditions, structure and ideology are being discussed. The first chapter focuses on the history of terrorism, its explanations and forms. Terrorism is one of the toughest challenges for the International Relations in the 21st century, that threatens the existence of the States in peace and hinders their stable development. The scope of the destructive impact of terrorism is increased when it is implemented with the State support and when it is performed in accordance with the strategic objectives of that State. Like the Intelligence Agencies of the state, terrorist organizations organize recruitment and espionage activities with States or independently to resolve their goals and objectives. The significant emphasis with this regard is made on the ethnic and religious minorities in the State that is subject to damage. Consequently, to combat terrorism as an intelligence function, special mobilization of the counter-intelligence agencies and State support are strongly required.The following master's thesis analyzes the theory of feminism established in the conditions of modern international relations and its relation with international terrorism.

Women's rights and prohibitions in Islam, as well as the procatarxis that might encourage radical ideas in the minds of the female sex representatives are being discussed in a separate sub-chapter. The focus is made on the role of North Caucasian Shahid women in international terrorism and the asymmetric threats expected from them.

The presented master's thesis will make it possible to demonstrate the clear picture of terrorism threats in the North Caucasus region. As a conclusion, the recommendations, those partially usage will prevent tensions to the Caucasus community, are provided.

Liziko Pipia

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ,,საერთაშორისო ტერორიზმის ფაქტორი კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ახალი გამოწვევის კუთხით -,,კავკასიის ისლამური საამიროს“ მაგალითზე“ იკვლევს ისლამის ვაჰაბიტური მიმდინარეობის იდეოლოგიას, მისი ჩამოყალიბებისა და გავრცელების ხელისშემწყობ ფაქტორებს და საფრთხეებს ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში. მაგალითის სახით განხილულია ,,კავკასიის ისლამური საამიროს” შექმის წინაპირობები, მისი სტრუქტურა და იდეოლოგია. პირველ თავში ყურადღება გამახვილებულია ტერორიზმის ჩამოყალიბების ისტორიაზე, მის განმარტებასა და ფორმებზე.

ტერორიზმი 21-ე საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე მწვავე გამოწვევაა, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოების მშვიდ გარემოში არსებობას და მათ განვითარებას. ტერორიზმის დამანგრეველი ზემოქმედების მასშტაბები გაზრდილია მაშინ, როდესაც იგი სახელმწიფოთა მხარდაჭერით მიმდინარეობს და იგი ამ სახელმწიფოს სტრატეგიული მიზნების შესაბამისად ხორციელდება. სახელმწიფოთა სადაზვერვო სამსახურების მსგავსად, ტერორისტული ორგანიზაციები სახელმწიფოებთან ერთად ან დამოუკიდებლად, საკუთარი მიზნებისა და ამოცანების გადასაწყვეტად გადაბირების და ჯაშუშობის ორგანიზებას ახორციელებენ. ამ კუთხით მნიშვნელოვანი აქცენტები დაზიანებას დაქვემდებარებული სახელმწიფოში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის მიმართ კეთდება. შესაბამისად ტერორიზმის, როგორც სადაზვერვო ფუნქციის მქონე მიმართულების წინააღმდეგ საბრძოლველად აუცილებელია კონტრსადაზვერვო სამსახურების განსაკუთრებული აქტიურობა და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა.

ნაშრომში გააანალიზებულია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების პირობებში ჩამოყალიბებული ფემინიზმის თეორია და მისი მიმართება საერთაშორისო ტერორიზმთან.

ცალკე ქვეთავად არის გამოყოფილი ქალთა უფლებები და აკრძალვები ისლამში, ის მაპროვოცირებელი გარემოებები რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს

მდედრობითი სქესის წარმომადგენლის გონებაში რადიკალისტური იდეების გაღვივებას. ყურადღება გამახვილებულია ჩრდილოკავკასიელი შაჰიდი ქალების როლზე საერთაშორისო ტერორიზმში და მათგან მოსალოდნელ ასიმეტრიულ საფრთხეებზე.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომით შესაძლებელი იქნება ჩრდილოეთ კავასიის რეგიონში არსებული ტერორიზმის საფრთხის სრულფასოვანი წარმოჩენა. დასკვნის სახით კი გადმოცემულია ის რეკომენდაციები, რომლიც გათვალისწინებაც ნაწილობრივ მაინც ააცილებს თავიდან მოსალოდნელ დაძაბულობას კავასიელ საზოგადოებას.

სარჩევი

შესავალი 7

თავი პირველი: ასიმეტრიული სამხედრო საფრთხე და საერთაშორისო ურთიერთობების პირობები 21-ე საუკუნეში 16

1.1 საერთაშორისო ტერორიზმის ფენომენი მისი არსი და რეალობა …..……..... 17

1.2 ასიმეტრიულობის როლი კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების პირობებში……..... 25

თავი მეორე: საერთაშორისო ტერორიზმი, როგორც კავკასიის რეგიონის ახალი გამოწვევა ……..... **27**

2.1 საერთაშორისო ტერორიზმის რეგიონული ასპექტები და ,,კავკასიის ისლამური საამიროს“ ფაქტორი……..... 28

2.2 ,,კავასიის ისლამური საამირო“, როგორც არასახელმწიფოებრივი აქტორი და მისი გეოსტრატეგია……..... 35

2.3 დაზვერვის როლი საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციაში 41

თავი მესამე: კავკასიური ისლამური ტერორიზმის ფემინიზაცია……..... 47

3.1 ფემინიზმი საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში……..... 48

3.2 ქალთა უფლებები და კავკასიური ისლამის ტრადიციები……..... 53

3.3 ქალთა შაჰიდიზმი, როგორც ასიმეტრიული სამხედრო საფრთხე……..... 61

დასკვნა 68

გამოყენებული ლიტერატურა..... 71

შესავალი

საერთაშორისო ტერორიზმი 21-ე საუკუნეში მსოფლიოსთვის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე და მოუგვარებელი პრობლემად იქცა. გამომდინარე საფრთხის მაღალი რისკისა და მნიშვნელობისა თანამედროვე საზოგადოებისთვის, სამაგისტრო ნაშრომი ,,საერთაშორისო ტერორიზმის ფაქტორი კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ახალი გამოწვევის კუთხით - ,,კავკასიის ისლამური საამიროს" მაგალითზე" ხაზს უსვამს საკითხის აქტუალობას კავკასიის რეგიონშიც. კავკასია თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით ურთულეს რეგიონს წარმოადგენს, ამიტომაც ის საკმაოდ ბევრი სახელმწიფოს განსხვავებული ინტერესის თანხვედრის ადგილი არის, რის შედეგადაც აქ ხშირია დაძაბულობა. კავკასიის რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე ის წარმოადგენს ტერორისტული დაჯგუფებების ინტერესის სფეროს, ხოლო ბოლო პერიოდში ისლამური რადიკალისტური დაჯგუფებების აქტიურობით ამ ტერიტორიაზე იზრდება საფრთხეებისა და რისკების დონე და მასშტაბები.

საერთაშორისო ტერორიზმმა კავკასიის რეგიონში ფეხი განსხვავებული ფორმებით მოიკიდა, რასაც წინ რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა უძღვოდა. გამომდინარე იქიდან, რომ ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობას საკუთარი ცხოვრების წესი და სპეციფიკა გააჩნია, საინტერესოა ის სახეცვლილება რაც ვაჰაბიზმმა ამ რეგიონში შეიძინა. გარდა ამისა, რამდენიმე წლის წინ შექმნილი რადიკალისტური დაჯგუფება ,,კავკასიის ისლამური საამირო" გახდა მსოფლიოსთვის და მათ შორის ჩვენი რეგიონისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საფრთხე.

თანამედროვე საზოგადოების ყურადღება ბოლო წლებში არაერთხელ მიიბყრო ტერორისტების არატრადიციულმა ბრძოლის მეთოდებმა. მათგან ერთ-ერთი საინტერესო ქალთა შაჰიდიზმია. ჩეჩნეთში ჩამოყალიბებული მდედრობითი სქესის რადიკალისტური მოძრაობა ასიმეტრიულ საფრთხეს წარმოადგენს

კაცობრიობისთვის. მძიმე სოცალური პირობები, შურისძიება, რელიგიური ფანატიზმი, გაუნათლებლობა, საკუთარი თავის დაუმკვიდრებლობა, ეკონომიკური პრობლემები ეს არასრული ჩამონათვალია იმ მოტივებისა, რაც ამოძრავებთ თვითმკვლელ ტერორისტ ქალებს. გარდა ამისა, რეგიონში დღესაც შეიმჩნევა დაძაბულობა, რის ფონზეც მატულობს ფანატიკოს მუსლიმთა რიცხვი, ხშირია გადაბირების შემთხვევებიც, რომლის მსხვერლიც ძირითადად ახალგაზრდები ხდებიან. პროცესების ამ მიმართულებით წარმართვა საფრთხეს უქმნის როგორც კავკასიის უსაფრთხოებას, ასევე მსოფლიო სტაბილურობას და მშვიდობას. აქედან გამომდინარე საკმაოდ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით კავკასიის რეგიონში სტაბული უსაფრთხო მდგომარეობის შენარჩუნება.

საკვლევი კითხვები

1. რატომ არის საერთაშორისო ტერორიზმი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებისათვის ახალი გამოწვევა და როგორი გამოხატულება აქვს მას?
2. რა გავლენას ახდენს საერთაშორისო ტერორიზმი კავკასიის რეგიონალურ უსაფრთხოებაზე?
3. რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი ,,კავკასიის ისლამური საამიროს“, როგორც საერთაშორისო ტერორიზმის აქტორის ჩამოყალიბებას?

ჰიპოთეზა

ისტორიული პერიოდიდან მოყოლებული, კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოებისთვის ტერორიზმის პრობლემა ყოველთვის იყო აქტუალური, თუმცა, მან განსაკუთრებულად ცივი ომის შემდგომ პერიოდში იჩინა თავი. გამომდინარე იქიდან, რომ რეგიონი გამოირჩევა მაღალი მოწყვლადობით ახალი ტიპისრელიგიურ-არასახელმწიფოებრივი აქტორის სახე მიიღო (,,კავკასიის ისლამური საამიროს“

მაგალითზე), ყოველივე ამან კი ხელი შეუწყო პრობლემის გლობალური ასპექტების გამოკვეთას.

თემის მიზნები და ამოცანები

მიზნები

- სამაგისტრო თემის მიზანია შეისწავლოს კავკასიის რეგიონში საერთაშორისო ტერორიზმის გამოვლინება ,,კავკასიის ისლამური საამიროს“ მაგალითზე;
- უსაფრთოხებისა და სტაბილური გარემოს შენარჩუნებისთვის ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა.

ამოცანები

- კავკასიის რეგიონში გავრცელებული ისლამის სპეციფიკისა და თავისებურებების განსაზღვრა;
- საერთაშორისო ტერორიზმისაგან მომდინარე საფრთხეების წარმოჩენა.

თემის დამუშავების დროს გამოყენებული სავარაუდო მეთოდოლოგია

სამაგისტრო თემის ,,საერთაშორისო ტერორიზმის ფაქტორი კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ახალი გამოწვევის კუთხით - ,,კავკასიის ისლამური საამიროს“ მაგალითზე“ დამუშავების დროს, გამომდინარე საერთაშორისო ტერორიზმის სპეციფიკიდან გამოვიყენე საერთაშორისო ურთიერთოების შემდეგი თეორიები:

სოციალური კონსტრუქტივიზმი - სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორია გულისხმობს, რომ მსოფლიო პოლიტიკური პროცესების განმსაზღვრელია ის წესები და ნორმები, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეთა ინტერესებს განაპირობებს. სოციალური კონსტრუქტივიზმის მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკაში ჩაწვდომა სწორედ ამ ნორმებისა და წესების ანალიზის საფუძველზეა შესაძლებელი, რომლებიც პარამეტრებია და მათ შიგნით ხდება ინტერესების ფორმულირება. ამ იდეოლოგიის მიმდევრები არ ცდილობენ

სოციალური თეორიის მთლიანად შეცვლას, არამედ აღნიშნავენ, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში ცვლილებების უფრო ფართო შესაძლებლობები არსებობს, ვიდრე სახელმწიფოებისაგან ჩამოყალიბებული საერთაშორისო სისტემის ანალიზი.

ფემინიზმისთეორია - ფემინიზმი (ლათ. Femina - ქალი), არის ქალებისა და მამაკაცების უფლებების გათანაბრებისთვის წარმოებული მოძრაობა და სოციალურ - პოლიტიკური თეორიის საერთო სახელწოდება. მისი წარმომადგენლები ცდილობდნენ გაექარწყლებინათ ადამიანთა გონებაში და ცნობიერებაში ღრმად ჩამჯდარი აზრი პატრიარქატის უპირატესობაზე. 21-ე საუკუნეში ქალთა ცხოვრების და მოღვაწეობის პრაქტიკიდან გამომდინარე ფემინიზმის თეორიამ საერთაშორისო ურთიერთობებში ახალი გამოხატულება ჰპოვა, ის წინააღმდეგობას უწევდა ქალების სრულ იზოლაციას საერთაშორისო ასპარეზზე. ფემინიზმის მიზანი ამ ეტაპზე არის ის, რომ საზოგადოებას დაანახონ მდედრობითი სქესის წარმომადგენლების ცხოვრება, რომ ქალები ყოველდღიურად აწყდებიან გენდერული ნიშნით ძალადობას ყველა სფეროში. გარდა ამისა, ამისა, ფემინისტების მტკიცებით ქალებს არც პოლიტიკურ და არც ეკონომიკურ სფეროებში არ აქვთ თანაბარი შესაძლებლობები, როგორც მამაკაცებს. სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმების კუთხითაც თვალში საცემად არის დარღვეული გენდერული ბალანსი. სწორედ ამ სტერეოტიპების მსხვრევა და ახალი, გენდერული ბალანსით დარეგულირებული რეალობის შექმნა არის თანამედროვე ფემინისტების მთავარი მიზანი.

ახალი ომების თეორია - მერი კალდორი ახალ ომებს ძველი ომებისგან განასხვავებს მიზნებით, ბრძოლის მეთოდებითა და დაფინასნების საშუალებებით. ახალი ომის მიზნები უკავშირდება იდენტობის პოლიტიკას, განსხვავებით ძველი ომების გეოპოლიტიკური და იდეოლოგიური მიზნებისგან. ,,ძველი ომებისთვის" დამახასიათებელი, ვერტიკალურად ორგანიზებული იერარქიული ერთეულებისგან განსხვავებით ამ ომებში მონაწილეობს სხვადასხვა ტიპის ჯგუფების მთელი სპექტრი, რომლებიც ორგანიზაციული თვალსაზრისით დეცენტრალიზებულნი არიან. ისინი იყენებენ ახალი ტიპის ტექნოლოგიებს საბრძოლო მოქმედებების დროს. ახალი

ტიპის ომების სტრატეგიებში გამოყენებულია პარტიზანული საშუალებებისა და მეამბოხეთა წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები და გამოცდილება. ,,ახალი ომისთვის“ დამახასიათებელია ბრძოლებისთვის თავის არიდება, ხოლო ტერიტორიაზე კონტროლი მოსახლეობაზე პოლიტიკური გავლენის მეშვეობით ხორციელდება. ,,ახალი ომის“ წესები ეყრდნობა საზოგადოებაში ,,შიშსა და სიძულვილის“ დათესვას. ეს გულისხმობს ტერიტორიიდან მოსახლეობის გაძევებას სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, მათ შორის მასობრივი ხოცვა-ჟლეტითა და იძულებითი გადასახლებით, ასევე დაშინების არაერთი პოლიტიკური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებით. შედეგად მნიშვნელოვნად იზრდება ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა, ხოლო ძალადობა ძირითადად მიმართულია მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. კიდევ ერთი ფაქტორი რაც ახალ ომებს ძველი ომებისგან განასხვავებს არის ,,გლობალიზებული ომის ეკონომიკა“, რაც გულისხმობს დეცენტრალიზებულ ეკონომიკას, რომელიც დამოკიდებულია გარე ძალების დაფინანსებაზე. ასეთი ახალი ომების დროს შიდა წარმოება მცირდება და, შესაბამისად მცირდება საგადასახადო შემოსავლები. ,,ახალი ომების“ ერთ-ერთი გამოვლინება ტერორიზმია, რომელიც გულისხმობს შთამბეჭდავი და ხშირად შემზარავი ძალადობის გამოყენებას შიშისა და კონფლიქტის გამოწვევის მიზნით. [1]

ახალი ტერორიზმის თეორია - ,,ტერორიზმის ახალი თეორიის“ შემქმნელია რეალიზმის სოლის ერთ-ერთი წარმომადგენელი ბრიუს ჰოფმანი. ტერორიზმი განისაზღვრება, როგორც პოლიტიკური ცვლილებების მიზნით და ძალადობის ან ძალადობის მუქარის საშუალებით შიშის მიზანმიმართული შექმნა და გამოყენება. ტერორისტული აქტი აუცილებლად შეიცავს ძალადობის მუქარას ან თვითონ ძალადობას მაინც. მისი მიზანი გაცილებით შორსმიმავალია და არ შემოიფარგლება მხოლოდ უშუალო მსხვერპლზე მოხდენილი გავლენით. მისი მიზანია კაცობრიობის

[1]მ.კალდორი ,,ახალი და ძველი ომები“ რ.არტი, რ.ჯერვისი ,,საერთაშორისო პოლიტიკა მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2011, გვ.244

დაშინება. ტერორიზმი გულისხმობს სუსტი ძალისგან ძლიერი ძალის წარმოქმნას, რომელიც მიმართული იქნება ლოკალური ან საერთაშორისო მასშტაბის პოლიტიკური ცვლილებების განსახორციელებლად.

- ტერორიზმის მიზნები და მოტივები ყოველთვის პოლიტიკურია;
- ტერორიზმი ძალადობრივია ან ძალადობრივ მუქარას შეიცავს;
- ტერორიზმის მიზანია შორსმიმავალი ფსიქოლოგიური ეფექტის მოხდენა;
- ტერორიზმი ხორციელდება სამეთაურო ჯაჭვის მქონე ორგანიზაციის, ინდივიდების ან მცირე ჯგუფის მიერ;
- ტერორიზმს არასახელმწიფოებრივი ან სუბ-ეროვნული ჯგუფები მიმართავენ.[2]

კვლევის მეთოდები

გამომდინარე სამაგისტრო თემის სპეციფიკიდან და შინაარსიიდან, გამოვიყენე საერთაშორისო ურთიერთობებში აპრობირებული კვლევის მეთოდები:

რაოდენობრივი კვლევის მეთოდი - გავესაუბრე საერთაშორისო ტერორიზმის საკითხებზე მომუშავე ექსპერტებს და მოვისმინე მათი დასკვნები და ანალიზი კავკასიის რეგიონალური უსაფრთხობის მიმართულებით (ვახტანგ მაისაია, დავით კუხალაშვილი, ალიკა გუჩუა, პრჟემისლავ ფურგაში). კავკასიური ისლამის სფეციფიკის და ისლამში ქალთა უფლებების განსაზღვრის მიმართულებით გავესაუბრე აღმოსავლეთმცოდნეობის სპეციალისტებს. (ნანი გელოვანი, გიორგი ლობჟანიძე).

ისტორიული ანალიზის მეთოდი - ტერორიზმის ისტორიის გასაცნობად მოვიძიე პირველი ტერორისტული დაჯგუფებების შექმნის მოტივები და მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

---

[2]ბ.ჰოფმანი ,,რა არის ტერორიზმი?“ რ.არტი, რ.ჯერვისი ,,საერთაშორისო პოლიტიკა მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2011, გვ.195

ემპირიული კვლევის მეთოდი - გავეცანი ტერორიზმზე, ფემინიზმზე, ისლამზე, კავკასიურ რადიკალისტურ დაჯგუფებებზე არსებულ მასალებს და მათი ლოგიკური შეჯერების და ანალიზის საფუძველზე გამოვიტანე შესაბამისი დასკვნები.

კონტენტ-ანალიზი - თემის სპეციფიკიდან და შინაარსიდან გამომდინარე გავეცანი მედია სივრცეში გამოქვეყნებულ სტატიებს თუ ინტერვიუებს, ასევე საეთაშორისო ტერორიზმის შესახებ დადებულ ხელშეკრულებებს და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ანტიტერორისტული საქმიანობის განხორციელებისთვის შემუშავებულ წესდებებს.

კვლევის მოსალოდნელი შედეგები

სამაგისტრო კვლევის მოსალოდნელი შედეგია კავკასიის რეგიონში არსებული საფრთხეების და რისკების გაანალიზება. სტაბილიზაციისა და უსაფრთხოების პრობლემების მოგვარების გზების წარმოჩენა, რომ მაქსიმალურად იქნეს თავიდან არიდებული ტერორიზმის უარყოფითი გამოვლინება რეგიონში.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

სამაგისტრო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა გამოიხატება იმით, რომ ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს კავკასიის რეგიონით დაინტერესებული მკვლევარებისთვის სამეცნიერო - თეორიულ კვლევებში, დამხმარე მასალად ლექცია - სემინარებისთვის. ასევე ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი სახელმწიფო სტრუქტურებისთვის დამხმარე მასალად.

ძირითადი საკვლევი საკითხები

ძირითადი საკვლევი საკითხებია საერთაშორისო ტერორიზმის არსი, მისი გამოვლინება და სპეციფიკა კავკასიის რეგიონში, ,,კავკასიის ისლამური საამიროს შექმნის ისტორია, მისი სტრუქტურა და გავლენა მოსახლეობაზე, გადაბირების და

დაზვერვის როლი ტერორისტული ორგანიზაციებისთვის კავკასიის მაგალითზე, კავკასიური ისლამის სპეციფიკა და ქალის როლი ტერორიზმის გაძლიერებაში.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ვ.მაისაია, ზ.ობოლაძე, ,,ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი XXI საუკუნეში", გამომცემლობა თბილისი 2009წ.

მოცემულ წიგნში გაერთიანებულია გეოპოლიტიკის, გამოყენებითი პოლიტიკის და გეოსტრატეგიული მეცნიერული მიდგომების ელემენტები. აღწერილია კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესები და ამ პროცესებით გამოწვეული პრობლემები. ჩამოყალიბებულია ტერორიზმის არსი და მისი მნიშვნელობა უსაფრთხოების საკითხებში. კავკასიის რეგიონში მიმდინარე მოვლენები კონკრეტული მაგალითებით არის გადმოცემული (case-study), რაც საშუალებას იძლევა გარდა თეორიული მასალისა პრაქტიკულადაც დავინახოთ ტერორიზმის გავლენა კავკასიაში. გადმოცემულია კავკასიური ისლამის სპეციფიკა და მისი განმასხვავებელი ნიშნები ტრადიციული ისლამისგან.

ვ.მაისაია, გ.მაღრაძე, ,,21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების" თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები" თბილისი 2017

წიგნი ეხება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მნიშვნელობას საერთაშორისო ურთიერთობათა კონტექსტში. კონკრეტული მაგალითების დახმარებით განმარტებულია თანამედროვე პოლიტიკურ თუ საერთაშორისო ასპარეზზე გამოყენებული ტერმინები. თემის დამუშავების დროს, გამომდინარე სამაგისტრო ნაშრომის შინაარსისა, მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს რეგიონალური უსაფრთხოების მთავარ ასპექტებს. სწორედ, ეს ასპექტებია ჩამოყალიბებული და განმარტებული ამ წიგნში.

ნინო ფარსადანაშვილი, „ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ და ადამიანის უფლებათა დაცვა“, „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო“ (სტატიათა კრებული), თბილისი 2011

წარმოდგენილ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებზე და მის შედეგებზე, ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებზე. სამაგისტრო თემაზე მუშაობისას, გამომდინარე შინაარსისა და სპეციფიკისა, საინტერესო იქნება შევეხო თუ რა მექანიზმებით ხდება კავკასიის რეგიონში მშვიდობიანი მოქალაქეების უფლებების დაცვა.

Евгений Кожушко „Современный Тероризм”, Минск Харвест 2000

წიგნში გადმოცემულია თანამედროვე ტერორიზმის განმარტება, მისი მთავარი მახასიათებლები და განმასხვავებელი ნიშნები. განხილულია კონკრეტული ტერორისტული დაჯგუფებების ისტორია, სტრატეგია და ბრძოლის მეთოდები. გამომდინარე სამაგისტრო ნაშრომის შინაარსიდან, წიგნში წარმოდგენილი მასალის გამოყენება და გათვალისწინება კვლევისას იქნება საინტერესო.

პირველი თავი

ასიმეტრიული სამხედრო საფრთხე და საერთაშორისო ურთიერთობების პირობები 21-ე საუკუნეში

დღევანდელ რეალობაში მსოფლიოში მიმდინარე პროცესები განსაკუთრებული თავისებურებებით გამოირჩევა. 21-ე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და საშიში გამოწვევა საერთაშორსიო ტერორიზმია, რომლის მძიმე მარწუხები 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტიდან მოყოლებული კარგად იწვნია თანამედროვე საზოგადოებამ. ასიმეტრიულმა საფრთხემ, რომლის რეალური მასშტაბები შეუფასებელია შიში ჩანერგა კაცობრიობაში. მიუხედავად სუპერსახელმწიფოების თუ საერთაშორისო სამართლის სხვა აქტორების დაუღალავი მცდელობებისა ეს საფრთხე დღითიდღე უფრო იზრდება და მისი შეჩერება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. რადიკალისტურად განწყობილი ჯგუფები , რომლებიც ჰიბრიდული ომის სახელწოდებით, ბრძოლის ახალი მეთოდებით, სამხედრო მოქმედებებით დაწყებული და საინფორმაციო-სოციალური ქსელებით დამთავრებული ხელში იგდებენ და იყენებენ ყველა საშუალებას მიზნის მისაღწევად განსაკუთრებულად საშიში ხდებიან მშვიდობიანი მოსახლეობისთვის.

1.1 საერთაშორისო ტერორიზმის ფენომენი, მისი არსი და რეალობა

კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საშიში საფრთხის, ტერორიზმის გაჩენა იმ პერიოდს უკავშირდება, როდესაც ადამიანს გაუჩნდა სურვილი რომ უხეში ძალადობრივი მეთოდებით მოეხდინა გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე და ჩაეგდო ძალაუფლება ხელში. ებრაელები იყვენენ პირველები, რომლებმაც ზეალოტების სახელით შექმნეს დაჯგუფება ძვ.წ.აღ-ით პირველ საუკუნეში. იატაკქვეშა ორგანიზაცია მოწინააღმდეგეებს მკვლელობის გზით იშორებდა თავიდან. პირველი ,,ტერორისტები" საკუთარ თავს პატრიოტებს უწოდებდნენ და უპირისპირდებოდნენ ყველას, ვინც რომაული მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლაში შეუშლიდათ ხელს, ასეთები კი ძირითადად რომაელების საოკუპაციო რეჟიმთან თანამშრომლობაში მყოფი ებრაელი კოლაბორაციონისტები იყვნენ. ზეალოტები თავიანთი საქმიანობის მთავარ მოტივად იუდაიზმის კანონების უკომპრომისო რწმენას მიიჩნევდნენ, რაც რომაული კანონებით ცხოვრებას გამორიცხავდა. საბოლოოდ ზეალოტები გაანადგურეს, ხოლო გადარჩენილმა წევრებმა კი თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე.

საუკუნეების შემდეგ ზეალოტების საქმიანობა ასასინებმა გააგრძელეს და მალე გაითქვეს სახელი მსოფლიოშიც. მათი მოღვაწეობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო ტერორი, ხოლო სიტყვა ,,ასასინი" (არაბ. ჰაშიშიიია ან ჰაშიშიიიინ) კი ევროპულ ენებში მკვლელის მნიშვნელობით შევიდა. ასასინები ისლამის შიიტური მიმდინარეობისგან გამოყოფილი ჯგუფი იყო, რომლებმაც ტაქტიკად თავიანთი მოწინააღმდეგეების ლიდერების მკვლელობები აირჩიეს. ისინი ხშირად რჩებოდნენ მკვლელობის ადგილას, რომ საკუთარი თავიც გაეწირათ, რადგან სჯეროდათ, რომ ამ შემთხვევაში ალ-ლაჰთან სამოთხეში ექნებოდათ ადგილი. ასასინები მხოლოდ ლიდერის მკვლელობას იმით ხსნიდნენ, რომ ერთი ადამიანის განადგურებით შეიძლებოდა სისტემის შეცვლა და სასურველი მიზნის მიღწევა, რითაც თავიდან ირიდებდნენ სისხლისმღვრელ და გაჭიანურებულ ომებს. ისლამის საფარქვეშ მოქმედი ჯგუფის ხელწერა იყო ასევე შანტაჟი - მუქარის შემცველი

წერილების გაგზავნა გარკვეული მოთხოვნებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში სრულდებოდა. ასასინები მიზნის მისაღწევად იყენებდნენ პრაქტიკულად ყველა ხერხს. მაღალი მოტივაციის, მკაცრი ორგანიზებულობის, ნათლად გამოკვეთილი მიზნების და ამოცანების წყალობით მათთვის ,,შეუსრულებელი მისია" არ არსებობდა. ასასინები და ზეალოტები თანამედროვე გაგებით ტერორისტები არ იყვნენ, რადგან ისინი არ თესავდნენ მასობრივ შიშს და არეულობას საზოგადოებაში, პირიქით, ხშირ შემთხვევაში მოსახლეობის გარკვეული ნაწილი გადამრჩენელებადაც მიიჩნევდა მათ, თუმცა მათი ტაქტიკისა და მიზნების გათვალისწინებით, ისინი თანამედროვე ტერორისტების ,,წინაპრებად" მოიხსენიებიან.

XVIII-XIX საუკუნეებში ტერორისტული აქტები უმეტესწილად ერთი ადამიანის წინააღმდეგ ხორციელდებოდა და მის ლიკვიდაციას ისახავდა მიზნად, სახელმწიფოები კი არ ერიდებოდნენ სხვა ქვეყნებიდან გამოქცეული ტერორისტებისთვის თავშესაფრის მიცემას. ისტორიკოსთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ტერორიზმს ბიძგი მისცა 1648 წლის ვესტფალიის ზავმა, რომლის შედეგადაც მსოფლიოში ახალი სახელმწიფოები წარმოიშვა და ახალი პოლიტიკური წესრიგი დამყარდა. სიახლეებს უარყოფითად შეხვდა გარკვეული ჯგუფი მოსახლეობისა, მათ პროტესტის ფორმად ძალადობრივი მეთოდები აირჩიეს, რითაც დაუპირისპირდნენ ევროპულ რეალობას. გამომდინარე იქიდან, რომ ამ პერიოდში კომუნიკაციის საშუალებები თითქმის არ არსებობდა და მასობრივად არ იყო ხელმისაწვდომი, ტერორისტულ საქმიანობას არ მიეცა გასაქანი, მეტიც, თვითონ სახელმწიფო ხელისუფლებაც მკაცრად უსწორდებოდა გაუბედავ აქტივობებს.

სიტყვა ,,ტერორიზმი" ევროპულ ენებში საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ დამკვიდრდა. რევოლუციის შემდეგ გამოცემულ ფრანგულ ლექსიკონში ის განიმარტებოდა, როგორც მმართველობის ერთ-ერთი ფორმა, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლება ძალაუფლების შესანარჩუნებლად ძალადობრივი მეთოდებით უპირისპირდება პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს. რობესპიერის ხანმოკლე მმართველობის პერიოდში, ის სასტიკად უსწორდებოდა რევოლუციის მტრებს.

ფრანგი სწავლულები ერთგვარად დასაშვებ ფორმად მიიჩნევდნენ ძალადობის მეთოდების გამოყენებით დრომოჭმული მონარქიული მმართველობის ლიბერალურ დემოკრატიულ მმართველობაზე შეცვლას. რობესპიერის ძალადობრივმა მმართველობამ თავად მეფის მხარდამჭერებიც აიძულა იმავე ტერორისტული წესებით ეთამაშათ ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ. 1871 წელს კი პარიზის კომუნის ხანმოკლე მმართველობის პერიოდში საფუძველი ჩაეყარა ტერორიზმის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს - მძევლების აყვანას[3].

ტერორიზმისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ატრიბუტი - საზოგადოებაზე მასობრივი ზემოქმედება და დაშინება პირველად რუსეთში მოქმედმა ანარქისტულმა ორგანიზაციამ ,,ნაროდნაია ვოლიამ“ დანერგა. ისინი კონკრეტული მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგ აწყობდნენ ტერაქტებს, თუმცა ამ აქტის დროს გამოყენებული ასაფეთქებელი ნივთიერებების რაოდენობა და მასშტაბები დამანგრეველ ზიანს უდანაშაულო მოქალაქეებს აყენებდა. მიუხედავად მსხვერპლის რაოდენობისა, ტერორისტული ორგანიზაციის მიზანი არა მასობრივი შიშის დათესვა, არამედ თავიანთ ძლიერებაში მოსახლეობის დარწმუნება იყო, რასაც საზოგადოების მხრიდან ტერორიზმის მხარდაჭერა უნდა მოყოლოდა.

XX საუკუნეში ტერორიზმმა ახალი შტრიხები შეიძინა და გამოიყო ორი მთავარი მიმართულება: ტერორი, როგორც ტოტალიტარული მმართველობის ფორმა და ტერორიზმის ელემენტების შერწყმა ნაციონალიზმის ტალღასთან. პირველი მიმართულების ნათელ მაგალითებს სტალინის და ჰიტლერის ეპოქა წარმოადგენს. ამ პერიოდში ტერორისტული მმართველობა სახელმწიფო იდეოლოგიის რანგში იყო აყვანილი. სწორედ ამ ნიადაგზე ტოტალიტარული მმართველობის მოძინააღმდეგე რამდენიმე ძლიერი ნაციონალურ-ტერორისტული დაჯგუფება შეიქმნა (ქურთ მუშათა პარტია, ირლანდიის რესპუბლიკური არმია, ეტა და ა.შ). [4]

---

[3]დ.ბოლქვაძე ,,ტერორიზმი - მუდმივი საფრთხე ცვალებადი მიზნებით“ (ბოლო ნახვა 15.04.2019) http://mastsavlebeli.ge/?p=4303

[4]ვ.მაისაია, ბ. ობოლაძე ,,ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი XXI საუკუნეში (გლობალური და რეგიონალური ასპექტები“, თბილისი 2009, გვ. 75.

თავად ტერმინი **„ტერორიზმი“** ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს შიშს, საშინელს, ის განიხილება, როგორც ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური ჯგუფების დამახასიათებელი საქმიანობა, რომლის დროსაც ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით ხდება სახელმწიფო ხელისუფლების იძულება რომ წავიდნენ დათმობებზე და/ან მოხდეს პოლიტიკური პროცესების ცვლილება. ხშირ შემთხვევაში, ტერორისტული აქტი მიმართულია მოსახლეობის ჯგუფების, უცხო ქვეყნის მოქალაქეების და საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისკენ.

გამომდინარე ტერორიზმის რთული ფენომენისა მისი ერთიანი და ზუსტი განმარტება საერთაშორისო ურთიერთობებში არ არსებობს. მკვლევართა სხვადასხვა ჯგუფი ამ ტერმინს განსხვავებულ ინტერპრეტაციას აძლევს.

- ✓ **„ტერორიზმი** - ეს არის პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკა, რომელიც ხასიათდება იდეოლოგიურად მოტივირებული ძალადობის სისტემატიურად გამოყენების გზით და გამოიხატება მკვლელობებში, დივერსიებში, საბოტაჟში, მოტაცებასა და სხვა ქმედებებში, რომლებიც მიმართულია მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების წინააღმდეგ. ამგვარი ძალადობა გამოიყენება კონკრეტულ მოწინააღმდეგეთა მოსასპობად, ასევე მთავრობების, პარტიების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და რელიგიურ მოძრაობათა და ეთნიკური ჯგუფების შესაშინებლად, რათა მიღწეულ იქნას განსაზღვრული პოლიტიკური, რელიგიური, სოციალურ-ეკონომიკური მიზნები.[5]“
- ✓ **„ტერორიზმი** - წარმოადგენს მოტივირებულ ძალადობას, რომელსაც აქვს პოლიტიკური მიზნები (ბორის ბროზე, კონფლიქტების შემსწავლელი ლონდონის ინსტიტუტის დირექტორი)“ [6]

ფართოდ არის გავრცელებული წარმოდგენა, რომ ტერორიზმი არის ტრადიციული საშუალება, რომელსაც იყენებენ სუსტები, დამცირებულები და

[5]იგივე
[6]იგივე.

გარიყულები თავისი დამცირებისადმი საჯარო ყურადღების მისაქცევად. მათთვის ვინც ებრძვის თავისზე შეუდარებლად უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეს, ტერორიზმი წარმოადგენს ძლიერ იარაღს, რომელსაც შეუძლია გააწონასწოროს მხარეთა ძალები და შესაძლებლობები. ტერორისტული ჯგუფები შეიძლება წარმოიშვას ნებისმიერ საზოგადოებაში, რომლებიც ლეგალური საპროტესტო პროცედურის ფარგლებში ვერ გახდებიან საკმარისად ცნობილები.

ტერორიზმის ბუნებიდან გამომდინარე მისი გამოვლინენების შესაბამისად გამოიყოფა შემდეგი სახის ტიპები:

- **პოლიტიკური** - ამ ჯგუფში მოიაზრება ისეთი ტერორისტული აქტივობები, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის მთლიანად ან მისი რომელიმე ნაწილის შეცვლისკენ;
- **სოციალური** - სოციალური ტერორიზმის ძირითადი გამომწვევი მიზეზები ღრმა სოციალურ-პოლიტიკური კონფლიქტები, ის ძირითად შემთხვევაში მემარჯვენე და მემარცხენე ტერორისტთა ფორმით გვხვდება;
- **ნაციონალური** - ნაციონალური ტერორიზმს ძირითადად ეთნიკური ჯგუფები ახორციელებენ, რომლებიც ძირითად შემთხვევებში იბრძვიან ავტონომიის გაფართოებისთვის ან მისი მოპოვებისთვის;
- **ტერიტორიულ-სეპარატისტული** - ამ სახის ტერორიზმს მიმართავენ ქვეყნის შიგნით ცენტრალური ხელისუფლებისგან განდგომის და ცალე სუვერენული ერთეულის შექმნის მოთხოვნით;
- **იდეოლოგიური** - ამ ტიპის ტერორიზმის ყველაზე მასშტაბური და გავრცელებული გამოვლინებაა რელიგიური ტერორიზმი, რომელიც თავის მხრივ იყოფა ფუნდამენტალისტურ და სექტანტურ მიმართულებად. რელიგიური ტერორიზმი დღევანდელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეობაა.
- **კრიმინალური ტერორიზმი** - ამ ტერმინის დამკვიდრება ჟურნალისტების დამსახურებაა. მასში მოიაზრება ისეთი სახის დანაშაულები, რომლებსაც შეუძლიათ

გავლენა მოახდინონ პოლიტიკურ პროცესებზე, მაგალითად, ნარკოვაჭრობა, დაყაჩაღება, რეკეტი.

გარდა ამისა, ასევე განასხვავებენ ტერორიზმის შვიდ სახეობას:

1. უცხო, მტრულად განწყობილი ქყვეყნის სპეცსამსახურების მიერ არამეგობრულ სახელმწიფოში ტერორისტულ საქმიანობათა დაგეგმვა დესტაბილიზაციის ინსპირირებისა და იქ არსებული ხელისუფლების დამხობის ან მისი დაშინებისა და დამორჩილების მიზნით;
2. ინდივიდუალური ხასიათის ტერორისტული პოლიტიკური ან ფინანსური მოტივით;
3. ადამიანთა დატყვევება და გატაცება სხვადასხვა პოლიტიკური ან მერკანტული მოსაზრებებით;
4. აფეთქებათა ორგანიზაცია სხვადასხვა მეთოდით;
5. საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო სატრანსპორტო საშუალებათა ხელში ჩაგდება და მათი ტერორისტული მიზნით გამოყენება;
6. შენობა-ნაგებობებისა თუ სატრანსპორტო საშუალებებში მძევალთა მასობრივი აყვანა შანტაჟის მოწყობისთვის;
7. ბიოქიმიური და ბაქტერიოლოგიური ტერორიზმი თავდასხმის ობიექტის განადგურების ან/და პარალიზების მიზნით. [7]

ხშირ შემთხვევაში, გამომიდინარე ტერორიზმის ძალადობრივი მეთოდებისა, მას აიგივებენ კრიმინალურ საქმიანობასთან, თუმცა მათი განმასხვავებელი ნიშნები საკმაოდ მკაფიოა:

- ტერორიზმის მიზნები და მოტივები ყოველთვის პოლიტიკურია;
- ტერორიზმი ძალადობრივია ან ძალადობის მუქარას შეიცავს;
- ტერორიზმი მიზნად ისახავს შორსმიმავალი ფსიქოლოგიური ეფექტის მოხდენას, რაც უშუალო მსხვერპლსა თუ სამიზნეზე გავლენით არ შემოიფარგლება;

[7] ა.გუჩუა ,,საერთაშორისო ტერორიზმის ფაქტორი გლობალური უსაფრთხოების კონტექსტში“ თემატური სემინარი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი https://openscience.ge/bitstream/1/117/1/alika%20Guchua%20-Tematuri%20.pdf

- ტერორიზმი ხორციელდება მკაფიო სამეთაურო ჯაჭვის მქონე ან კონსპირაციული უჯრედებისგან შემდგარი ორგანიზაციის , ინდივიდების, ან ინდივიდთა მცირე ჯგუფის მიერ. უკანასკნელ შემთხვევაში ინდივიდების გავლენის, მოტივაციისა და შთგონების წყაროა რომელიმე არსებული ტერორისტული მოძრაობისა თუ მისი ლიდერების იდეოლოგია ან ქმედებები;
- ტერორიზმს სუბ-ეროვნული ან არასახელმწიფოებრივი ერთობები მართავენ."[8]

თანამედროვე ტერორიზმი იყოფა ორ ნაწილად: ლოკალურ და საერთაშორისო ტერორიზმად. **ლოკალური ტერორიზმის** ქვეშ მოიაზრება სხვადასხვა სახის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობები და წარმოადგენს ამ მოძრაობების არალეგალურ ნაწილს. ადგილობრივი ტერორიზმის ჩახშობა თანამედროვე მსოფლიოში ვერ ხერხდება, ხელისუფლების წარმომადგენლებს ან არ შეუძლიათ ან არ აწყობთ მის წინააღმდეგ ეფექტური ღონისძიებების გატარება.

რაც შეეხება **საერთაშორისო ტერორიზმს** მას ხშირად განმარტავენ, როგორც საერთაშორისო ხასიათის დანაშაულს, რომელიც ზიანს აყენებს არა მხოლოდ ერთი კონკრეტული სახელმწიფოს ხელისუფლებას ან მოქალაქეებს არამედ, საზიანოა მთელი მსოფლიოსთვის. ის გულისხმობს საზოგადოებისთვის საფრთხის შემცველი ქმედებების ერთობლიობას, რომლის შედეგადაც დიდია ადამიანთა მსხვერპლი, დიპლომატიური სამსახურების და საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის შეფერხება ან სრულად მოშლა. საერთაშორისო ტერორიზმის დროს ერთი ქვეყნის მოქალაქე მეორე ქვეყანაში ატარებს ტერორისტულ აქტს, რომელიც მიმართულია ამ ქვეყნის ხელისუფლებისა და მოსახლეობის დასაშინებლად, ან/და მმართველი აპარატის მაღალი თანამდებობის პირების ლიკვიდირებისკენ. საერთაშორისო ტერორიზმი 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ გახდა მნიშვნელოვანი საფრთხე თანამედროვეობაში, მის წინააღმდეგ ბრძოლა კი გახდა კაცობრიობის ერთ-

[8]მ.ბიჭაშვილი ,,ლექციები პოლიტიკური ძალის თეორიაში" ,გამომცემლობა ნეკერი, თბილისი 2001, გვ. 201.

ერთი გადაუჭრელი ამოცანა, რომელიც მსოფლიო საზოგადოების ერთობლივ ბრძოლას მოითხოვს.

XXI საუკუნეში საერთაშორისო ტერორიზმის ძლიერი გამოვლინების მიზეზები გასულ ეპოქაში უნდა ვეძებოთ. ტერორიზმისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაში დიდი წვლილი შეიტანა ისეთმა ისტორიულმა პროცესებმა როგორებიც იყო ევროპული კოლონიალიზმის დასრულება და ახალშექმნილ სახელმწიფოებში დაუსრულებელი კონფლიქტი ტერიტორიების გადანაწილებისთვის, რელიგიური და ნაციონალური შეუთავსებლობისთვის; ატომური იარაღის შექმნის პერიოდში ტერორიზმის გადაქცევა დაპირისპირებულ ქვეყნებს შორის კონფლიქტის დამხმარე საშუალებად. ტერორიზმის გავლენის გაძლიერებას საზოგადოებაზე ხელი შეუწყო თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებების და მასმედიის გაჩენამ, ერთის მხრივ თავად ტერორისტული აქტების მიმდინარეობის და მათი შედეგების მიწოდებამ ადამიანებისთვის და მეორეს მხრივ ტერორისტული იდეების ფართო პროპაგანდამ საკუთარი მოვალეობა კარგად შეასრულა.

1.2 ასიმეტრიულობის როლი კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების პირობებში

21-ე საუკუნის გლობალური უსაფრთხოების პირობებში გამოიკვეთა ისეთი მოვლენები, რომლებიც აქამდე უცნობი იყო მსოფლიოსთვის. ერთ-ერთი ასეთი არის ასიმეტრიულობა - რაც გულისხმობს საერთო შედარებითობის საფუძვლის

არარსებობას, შესაძლებლობათა ასპექტს, რომელთა შედარება წარსულის გამოცდილებასთან შეუძლებელია. ამ ტერმინის ცნება უსაფრთხოების თეორიის ფარგლებში დაკავშირებულია საფრთხის ფენომენთან. ასიმეტრიული საფრთხე განიმარტება როგორც - ისეთი სახის საფრთხე, რომელიც მიმართულია მოწყვლადი ადგილებისკენ, რომლებიც დარჩენილნი არიან ყურადღების მიღმა თავდასხმის მიზნით ან მიმართული არიან უპირატესობის მოტანისთვის, როდესაც დარტყმის მიზანს შეზღუდული აქვს უნარი თავი დაიცვას.[9] უფრო გასაგებ და მარტივ ენაზე ასიმეტრიული საფრთხე გულისხმობს ისეთი საფრთხის მასშტაბებს, რომლის შედეგებიც უცნობია, მაგალითად ტერორიზმი, ბუნებრივი კატაკლიზმები, ჰიბრიდული ომი. ასიმეტრიულ საფრთხეებს გააჩნიათ სპეციფიკური სახის თავისებურებები, რომლებთაგანაც შემდეგი ძირითადი სახეები გამოიყოფა: [10]

- ისინი უცნაურია ჩვენი ხედვით;
- ისინი არასტანდარტულნი არიან, იგულისხმება, რომ კლასიკური კონვენციური ომის კანონების მიხედვით მათი მიღებულობა შეუძლებელია;
- ისინი რთულად აღიქმებიან ანალოგიური დარტყმის მიყენების მიზნით
- ისინი იქმნებიან არა მარტო მოწინააღმდეგის ობიექტების წინააღმდეგ, არამედ უნდა მოახდინონ კომპენსირება ან დაიყვანონ ნულამდე მოწინააღმდეგის უპირატესობები.

ასიმეტრიულ საფრთხეებს როგორც პოლიტიკური ასევე სამხედრო მიზნების მისაღწევად იყენებენ როგროც ,,სუსტი“ ასევე ,,ძლიერი“ მოქმედი აქტორები, რომლებსაც მინიმალური ხარჯების და მცირე რაოდენობის მსხვერპლის გაღებით იღებენ შედეგებს.

ასიმეტრიული სამხედრო მოქმედებები ხორციელდება შედარებით მცირე ტაქტიკური ძალებისა და საშუალებების გამოყენებით მოწინააღმდეგის მოწყვლად ადგილებზე გავლენის მოპოვების მიზნით. აქედან გამომდინარე, ასიმეტრიულ

---

[9]გ.მაღრაძე, ვ.მაისაია ,,21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები“, უნივერსალი, თბილისი 2017, გვ.25

[10]იგივე, გვ. 26

სამხედრო მოქმედებებში გამოიყოფა ორი კომპონენტი: გამოყენებული ძალის არაპროპორციული ეფექტი და სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მიღების დონეზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ან ზეწოლის მოხდენა.[11]

ტიპოლოგიის მიხედვით გამოიყოფა ორი მიდგომა: პოლიტიკური და დროებითი. რაც შეეხება პოლიტიკური ასიმეტრიას გულისხმობს ,,სუსტი" აქტორის მიერ ,,ძლიერის" წინააღმდეგ ისეთი სახის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას რაც ასუსტებს ,,ძლიერის" გავლენას კონკრეტულ ზონებში, ხოლო დროებითი ასიმეტრიის დროს კი ,,სუსტი" აქტორი ცდილობს კონფლიქტების გახანგრძლივებას ხელოვნურად, რომ ,,ძლიერ" მოწინააღმდეგეს აღარ უღირდეს მისი არსებობა.

თავი მეორე

საერთაშორისო ტერორიზმი, როგორც კავკასიის რეგიონის ახალი გამოწვევა

საერთაშორისო ტერორიზმის მძიმე მარწუხები კავკასიის რეგიონსაც შეეხო. ჩრდილოეთით მცხოვრები ისლამის მიმდევრები, რომელთა გონებაშიც რადიკალისტურმა იდეებმა მყარად მოიკიდა ფეხი გარემო პირობებისა თუ გარე

[11]იგივე, გვ.27

ძალების დახმარებით, გახდა რეალური საშიშროება მსოფლიო საზოგადოებისთვის. ,,კავკასიის ისლამური საამიროს“ შექმნამ და მისმა საქმიანობამ კარგად დაგვანახა, თუ რამხელა საფრთხის მოტანა შეუძლია ერთი შეხედვით მცირე, თუმცა მებრძოლი სულისკვეთებით განწყობილ ადამიანთა ჯგუფს.

ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონმა ისლამის რადიკალისტური მიმდინარეობა ვაჰაბიზმი საუთარ ტრადიციებს შეუთავსა და სრულიად ახლებური ფორმა შემოგვთავაზა ამ იდეოლოგიისა. გამომდინარე იქიდან, რომ გარდა ბუნებრივი პროცესებისა, გარე ძალებიც, რომელთათვისაც მომგებიანია რეგიონში დაძაბული და მძიმე გარემოს შექმნა, აქტიურად იყვნენ ვაჰაბიზმის პროპაგანდის პროცესში ჩართული, ამასთან ერთად, ისლამური სახელმწიფოსთვისაც მომგებიანი აღმოჩნდა რუსეთის ფედერაციის საზღვრებთან საკუთარი თანამოაზრეების ყოლა, მით უმეტეს ცხოვრების რთული პირობებიდან გამომდინარე ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის გადაბირება და მათი იდეოლოგიურად დამუშავება ძალიან მარტივი და სწრაფი პროცესი აღმოჩნდა.

2.1 საერთაშორისო ტერორიზმის რეგიონალური ასპექტები და ,,კავკასიის ისლამური საამიროს“ ფაქტორი (შექმნის წინაპირობები)

ბოლო წლებში ჩრდილოეთ კავკასიისადმი მიძღვნილ საინფორმაციო-ანალიტიკურ გადაცემებში სულ უფრო დიდი ყურადღება ეთმობოდა ისლამური ფუნდამენტალიზმის და მასთან დაკავშირებული ისლამური ტერორიზმის გავრცელების საშიშროებას. ამ პროცესებს კი წინ საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენები

უძღვოდა. კავკასიელი მუსლიმები ძირითადად ვაჰაბიტური იდეების გამზიარებლები არიან, სწორედ ეს იდეოლოგიაა საკუთარი მიზნებით და მახასიათებელი ნიშან-თვისებებით საფრთხის შემცველი.

ვაჰაბიზმი არის რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაბა სუნიტურ ისლამში, რომელიც არაბეთის ნახევარკუნძულზე წარმოიშვა XVIII საუკუნის შუა ხანებში, ჰანბალიტთა მაზჰაბიდან, მუჰამმად ბ. 'აბდ ალ-ვაჰჰაბის (1703-1792) მოძღვრების საფუძველზე. ეს მოძღვრება გახდა საფუძველი საუდიანთა სახელმწიფოს ოფიციალური იდეოლოგიისა. XIX საუკუნეში ვაჰაბიზმმა ფეხი მოიკიდა არაბეთის ნახევარკუნძულზე და აქედან გავრცელდა ინდოეთში, ინდონეზიაში, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ აფრიკაში.[12]

ალ-ვაჰჰაბის მოძღვრება, რომელიც საფუძველი გახდა ვაჰაბიზმის იდეოლოგიისა, გულისხმობდა მუჰამმადის დროინდელ ისლამზე დაბრუნებას და ერთღმერთიანობის პრინციპების დაცვას, უარის თქმას სიახლეებზე და წმინდანებისა და წმინდა ადგილების თაყვანისცემის აკრძალვას. ვაჰაბიტები ყველა მუსლიმს მოუწოდებდნენ ისლამის წესების მკაცრი დაცვისკენ, კიცხავდენენ ფუფუნება და მხარს უჭერდნენ ალლაჰის მიმდევრების ძმობას და ერთობას. ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საღვთო ომს - ჯიჰადს, რომელიც სხვა სარწმუნოების მიმდევრების წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად გულისხმობდა იმ მუსლიმებთან დაპირისპირებასაც, რომლებიც განუდგნენ ადრეული ისლამის პრინციპებს. ჯიჰადი განისაღვრებოდა, როგორც შეიარაღებული დაპირისპირება ყურანიდან გამომდინარე. ამ იდეოლოგიის მომხრეებისთვის დამახასიათებელია უკიდურესი ფანატიზმი რწმენის საკითხებში და ექსტრემიზმი პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში. ვაჰაბიზმი ოფიციალური იდოლოგიაა საუდის არაბეთში, მისი მიმდევრები მრავლად არიან სპარსეთის ყურის არაბულ

[12]ნ.გელოვანი, გ.სანიკიძე ,,ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2009წელი, გვ. 219

საამიროებში, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. გეოპოლიტიკური ჭრილიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ ვაჰაბიზმის რამდენიმე მიმართულება:

1. ტრადიციული ანუ კლასიკური - სოლიდარობა ისლამთან და არაბული სამყაროს ერთობა;
2. თანამედროვეობა: უფრო მისაღები თანამედროვე სამყაროში, ისლამის შედარებით ლიბერალური ფორმა. გეოგრაფიულად ის ყველაზე ძლიერია სპარსეთის ყურეში, სადაც დაარსდა ისეთი სახელმწიფოები, როგორებიც არის კაატრი, ქუვეითი და ომანი;
3. ფუნდამენტალიზმი: განასხვავებენ აგრესიული და სამხედრო ორიენტაციით. მათი სარწმუნოება დაფუძნებულია ე.წ ,,სუფთა ისლამის გავრცელებაზე".[13]

ვაჰაბიზმმა ფეხი მყარად იმ რეგიონებში მოიკიდა, სადაც ადგილი ჰქონდა იდეოლოგიურ და რელიგიური ვაკუუმის ზოგიერთ ფორმას, ასევე სადაც სოციალურ-ეკონომიკური პირობები გარდამავალ ეტაპზე იმყოფებოდა. კავკასია სწორედ ასეთი რეგიონი იყო, რომელიც 1985 წლიდან მოყოლებული წააწყდა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, ამას ეთნოპოლიტიკური კონფლიქტებიც დაემატა და შედეგად მოსახლეობის გარკვეული ფენისთვის რადიკალური ისლამი გახდა ძალიან მიმზიდველი. 90-იანი წლების დასაწყისში სახელმწიფოს მხრიდან რელიგიაზე მკაცრი კონტროლის შეწყვეტამ მნიშვნელოვნად გააიოლა მისიონერული საქმიანობა, იმ ადამიანებს, რომლებიც საკუთარ თავს ჭეშმარიტ მორწმუნეებს უწოდებდნენ, ისლამზე ძალზე ზოგადი და ხშირ შემთხვევაში არასწორი წარმოდგენა ჰქონდათ. სუნიტური მიმართულების და წმინდა კანონების არცოდნამ გამოიწვია კავკასიაში რეფორმატორულად განწყობილი მუსლიმანური სათვისტომოების რიცხვის სერიოზული ზრდა, რომლებიც მორწმუნეებს ,,წმინდა" ისლამში დაბრუნებისკენ მოუწოდებდნენ. ყურანის სახელს ამოფარებული რიტუალები და წესები, რომლებიც მისიონერული საქმიანობის შედეგად დამკვიდრდა რეგიონში,

[13]ვ.მაისაია, ბ.ობოლაძე ,,ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი XXI საუკუნეში", თბილისი 2009, გვ. 72

უმეტეს შემთხვევაში სრულიად ეწინააღმდეგებოდა ისლამის რეალურ მოთხოვნებს. პირველ ეტაპზე ვაჰაბიზმის გავრცელებას რეგიონში თავად მმართველობის ორგანოებიც უწყობდნენ ხელს, ისინი არავითარ ზომებს არ მიმართავდნენ რადიკალისტური იდეების ქადაგების აღსაკვეთად. თავდად ,,წმინდა" ისლამის გამავრცელებლები კარგად იყენებდენ იმ სოციალურ-ეკნომიკურ პრობლემებს, რომელიც კავკასიის მოსახლეობას აწუხებდა და მათმოსაგვარებლად შარიათის კანონების გამოყენებისკენ მოუწოდებდნენ. რეგიონში ახალი მიმდინარეობის მიმდევართა თითქმის სრულ უმრავლესობას ისეთი ახალგაზრდები წარმოადგენდნენ, რომლებმაც ვერ მოასწრეს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება, უწევდათ სიდუხჭირესა და თემური წყობილების მძიმე პირობებში ცხოვრება. ვაჰაბიზმი მათთვის გახდა პროტესტის გამოვლინების ფორმა და უკეთესი ცხოვრების მოწყობის შესაძლებლობა, მით უმეტეს, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიაში 30 წლამდე ახალგაზრდების დაახლოებით 70% უმუშევარი იყო გასული საუკუნის 90-იანი წლებისთვის.[14]

ვაჰაბიტური იდეების პროპაგანდას უცხოური ფონდების (ძირითადად საუდის არაბეთი და ქუვეითი) დაფინანსებაც უწყობდა ხელს, ამ თანხებით ხორციელდებოდა აქტიური საგამომცემლო საქმიანობა, ტელე-რადიო მაუწყებლობა. გარდა ამისა, ამ პერიოდში ახალგაზრდა სტუდენტები აქტიურად მიემგზავრებოდნენ საუდის არაბეთში და ვაჰაბიტური იდეებით გამორჩეულ სახელმწიფოებში სასწავლებლად. მიუხედავად იმისა, რომ ამ უნივერისიტეტებში ისევე როგორც მთელ ისლამურ სამყაროს სასწავლებლებში ოთხივე მაზჰაბის (მიმდევრობა) პრინცპები ისწავლებოდა, მაინც გამორჩეული ყურადღება იბნ ტაიმიის მემკვიდრეობის და ჰანბალიზმის პრინციპების შესწავლას ეთმობოდა. სწორედ ამ სასაწავლებლებიდან დაბრუნებულმა ახალგაზრდება შექმნეს ვაჰაბიტების ინტელექტუალური ელიტა კავკასიაში.

[14] ვ.მაისაია, ბ.ობოლაძე ,,ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი XXI საუკუნეში", თბილისი 2009, გვ.95

კავასიური ვაჰაბიზმისთვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ ისინი უარყოფენ ოთხი მაზჰაბიდან მხოლოდ ერთის (საღვთო-სამართლებრივი სკოლა) პრინციპების გათვალისწინებას, არამედ მსგავსად საუდელი ვაჰაბიტებისა აღიარებენ ოთხ იმამს - სუნიტური მაზჰაბების დამაარსებელს და ორ ღვთისმეტყველს - იბნ ტაიმიიასა და იბნ ალ-კაიიმას, ხოლო ღვთისმეტყველთა შემდეგი თაობების ავტორიტეტს ისინი არ ცნობენ.[15]

ჩრდილოკავასიურ ისლამში განსაკუთრებით ხშირად გვხვდება სიახლეების მიუღებლობა და მათგან განწმენდა. ისინი ეწინააღმდეგებიან იმ რიტუალებს და წეს-ჩვეულებებს, რომელიც ადგილობრივებში არის დამკვიდრებული, ხოლო განსაკუთრებით უარყოფითად არიან განწყობილი ადგილობრივი სუფიზმისა და მასთან დაკავშირებული წმინდა კულტის მიმართ.

თვითონ ვაჰაბიტები საუთარ თავს მოიხენიებენ როგორც ,,ერთღმერთიანობის ხალხს“, სახელწოდებას ,,ვაჰაბიტები“ ისინი შეურაწმხყოფელად მიიჩნევენ და რუსული სპეცსამსახურების მიერ დანერგილ სალანძღავ სიტყვად თვლიან. სალაფიტები ან ,,ძმები“ არის ყველაზე გავრცელებული ფორმა, რომლითაც კავკასიელი მუსლიმები მოიხსენიებენ ერთმანეთს.

ვაჰაბიზმის იდელოგიაში ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს ჯიჰადი - რწმენისთვის ბრძოლა, რომელსაც ყველა მუსლიმის მოვალეობად თვლიან, რათა გარდაცვალების შემდეგ ადგილი სამოთხეში დაიმკვიდრონ, ისინიასევე მიიჩნევენ, რომ ჯიჰადმა დღევანდელ რეალობაში ისლამის მტრების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის ფორმა მიიღო.

ჩრდილოეთ კავკასიაში ვაჰაბიტურ მოძრაობას გააჩნია საკუთარი ორგანიზაციული სტრუქტურა. თითოეულ თემს (ჯამაათს) სათავეში უდგას ამირი, რომელიც ითავსებს როგოროც საკანონმდებლო, ისევე აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, ფაქტობრივად, ერთპიროვნული მმართველის როლში

[15]ვ.მაისაია, ბ.ობოლაძე ,,ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი XXI საუკუნეში“, თბილისი 2009, გვ.96

გამოდის, რელიგიურ კანონებს ამოფარებული. ყოველი ვაჰაბიტური თემი ავტონომიურია და ისინი ორგანიზაციულად გაერთიანებული არ არიან. მათ გააჩნიათ ორი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი:

1. მეჩეთთან არსებული სკოლა (მედრესე);

2. შარიათის სასამართლო.

მედრესეებისა და პარასკევის ლოცვის დროს ქადაგებების მეშვეობით აქტიური პროპაგანდა ხდება რეგიონში ვაჰაბიტური იდელოგიისა.

ჩრდილოეთ კავკასიაში რადიკალური ისლამის გავრცელებას ხელი შეუწყო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების კორუმპირებულობამ. რადიკალისტურად განწყობილი ჯგუფები მათ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებასთან გარიგებასა და საკუთარი ხალხის ღალატში სდებდნენ ბრალს. თანდათანობით ეს ბრძოლა გადაიზარდა ჯიჰადში, რომლის გამოხატულებაც 2007 წელს ,,კავასიის ისლამური საამიროს“ დაარსება იყო.

კავკასიის რეგიონში რადიკალისტურად განწყობილი ჯგუფების მიერ რელიგიური ნიშნით სეცესიის მოთხოვნა კარგად გამოიხატა კავკასიის ემირატის შექმნაში. 2007 წლის ოქტომბერში არაღიარებული იჩქერიის რესპუბლიკის ბოლო მეთაურის დოკუ უმაროვის ინიციატივა ჩეჩნეთიდან მოედო მთელს ჩრდილოეთ კავასიას. ორგანიზაცია წარმოადგენდა ვირტუალურ სახელმწიფოს, რომლის მიზანიც იყო შეექმნა ერთიანი, ისლამურ კანონებზე დამყარებული მმართველობა.

კავკასიის ისლამური ემირატის შექმნას წინ რამდენიმე პოლიტიკური მოვლენა უსწრებდა. ჩეჩნეთის მესამე პრეზიდენტის ასლან მასხადოვისა და მისი მოწინააღმდეგის შამილ ბასაევის დაპირისპირებაში მთავრი გახდა ისლამის მთავარ იდეოლოგიად ქცევის საკითხი და მისი გამოყენება ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. 1996 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხება გახდა შამილ ბასაევისთვის სტიმული საკუთარი სახელი დაემკვიდრებინა ჩეჩნეთის პოლიტიკურ წრეებში. მან ამირ ხათაბთან (წარმოშობით არაბი საველე მეთაური) ერთად ჩამოაყალიბა ,,ისლამის მშვიდობისმყოფელთა ბრიგადა“ და ერთ-ერთ

სოფელში დაარსა საწვრთნელი ბანაკი, სადაც კავკასიიდან ჩასულ მოხალისეებს უტარებდა ფიზიკურ წვრთნებს და ამზადებდა იდეოლოგიურად. ბასაევის მიერ ჩამოყალიბებულ რაზმებზე სრული კონტროლი მხოლოდ მის ხელში იყო და ცენტრალური ხელისუფლება ვერ ახერხებდა მის გაკონტროლება-დამორჩილებას.

შამილ ბასაევი კარგად გაეცნო სალაფიზმის იდეოლოგიას, რის შემდეგაც მისი მიზნები სრულიად კავკასიას გადასწვდა, კერძოდ, მას გაუჩნდა იდეა, რომ შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე შეექმნა ერთიანი სახელმწიფო, რომელიც ისლამურ პრინციპებზე და კანონებზე იქნებოდა დაფუძნებული. მიზნის მისაღწევსად ბასაევმა მოკავშირეების ძებნა დაღესტანში გააგრძელა და შექმნა საკმაოდ მძლავრი და ძლიერი ჯამაათი, შემდეგ კი 1999 წელს ამ ტერიტორიაზე საკუთარი ჯარი შეიყვანა. გამომინარე იქიდან, რომ ბასაევის ძალაუფლება დღითიდღე იზრდებოდა, მას ემორჩილებოდა კავკასიის მუჯაჰედთა გაერთიანებული ძალები, ხოლო ჩეჩნეთის ცენტრალური ხელისუფლება კი ამის პარალელურად სუსტდებოდა, მაგალითად, სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტი, რომელსაც ასლან მასხადოვი მეთაურობდა 2002 წელს შეუერთდა ბასაევ-ხათაბის შეიარაღებულ ძალებს.

2000-იანი წლებიდან მოყოლებული ბასაევი ცდილობდა ჩეჩნეთის ფარგლებს გარეთ მყოფი სალაფიტური ჯამაათები გაეძლიერებინა და ისინი რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მიემართა. ასლანის სიკვდილის შემდეგ უკვე ეს გაძლიერებული არაჩეჩენი მეთაურები ითხოვდნენ ერთიანი კავკასიური ისლამური საამიროს გამოცხადებას, მართალია, ისინი ფორმალურად იჩქერიის დაქვემდებარების ქვეშ მოქმედებდნენ, თუმცა რეალური მისწრაფებები და მოტივაცია შორდებოდა ჩეჩნეთის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის იდეას. ამ მოვლენათა გათვალისწინებით დოკუ უმაროვის მიერ გადადგმული ნაბიჯი ლოგიკური აღმოჩნდა. ორი ტერორისტული გაერთიანების შედეგად საფრთხე მნიშვნელოვნად გაიზარდა, როგორც კავკასიის რეგიონში, ასევე მეზობელ სახელმწიფოებშიც. კავკასიის საამიროს წევრების მიერ განხორციელებული საქმეები

(ტერაქტები) აისისის სახელის ქვეშ, მთელი მსოფლიოს მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი აღმოჩნდა.

2.2 ,,კავკასიის ისლამური საამირო“, როგორც არასახელმწიფოებრივი აქტორი და მისი გეოსტრატეგია (სტრუქტურა და დოქტრინა)

,,კავკასიის ისლამური საამიროს“ პირველი ამირა და მისი დამაარსებელი დოკუ უმაროვი იყო. საამიროს სამოქმედო სივრცე მოიცავდა კრასნოდარიდან დაღესტნამდე ტერიტორიას, სტავროპოლის ჩათვლით, მისი დედაქალაქი კი იყო გროზნო, იგივე ჯოხარი (ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტის ჯოხარ დუდაევის საპატივცემულოდ). კავკასიის საამირო ეთნიკური გაერთიანების ნიშნით 6 ვილაიეთად იყოფოდა: [16]

- ვილაიეთი ღალღაი - იგივე ინგუშეთის ვილაიეთი. მის შემადგენლობაში შედიოდა ასევე ჩრდილეოთ ოსეთის ტერიტორია;
- ჩერქეზეთის ვილაიეთი;
- ვილაიეთი ნოხჩიჩო - იგივე ჩეჩნეთის ვილაიეთი;
- ნოღაის ვილაიეთი;
- ყაბარდო-ბალყარეთისა და ყარაჩაის ვილაიეთი;
- დაღესტნის ვილაიეთი.

ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოები, სადაც რადიკალისტურად განწყობილი ჯგუფები მრავლად იყო, პირდაპირ არასდროს უჭერდნენ მხარს ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილ საამიროს, თუმცა პრესაში თუ ტელევიზიაში მრავლად იყო განცხადებები, სადაც პარასკევის ქადაგებებში უმაღლესი სასულიერო პირები მოუწოდებდნენ ჩეჩნეთის მოსახლეობას მუჯაჰედების მხარდაჭერისაკენ. არაბული ქვეყნებისგან განსხვავებით იჩქერიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობა აღიარა ავღანეთმა, უზბეკეთმა.

რაც შეეხება საამიროს სტრუქტურას ის შემდეგნაირი იყო:

- სასამართლო ხელისუფლება;
- აღმასრულებელი ხელისუფლება;
- საკანონმდებლო ხელისუფლება;
- სპეციფიკური სტრუქტურა მუხაბარატი;

[16]ნ.ჯანელიძე ,,თანამედროვე ჩეჩნური ნაციონალიზმის ნიშნები და თავისებურებები“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2015 წელი, გვ. 91.

აღსანიშნავია, რომ ეს დაყოფა პირობითი იყო და მას მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროებების შემთხვევებში ან ცვლილებების განხორციელების დროს იყენებდენ.

საამიროს ერთპიროვნული მმართველი იყო ამირა (ჯიჰადის წინამძღოლი), რომელიც აერთიანებდა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, მის მიერ არჩეული და დანიშნული პირების საშუალებით.

,,კავკასიის ისლამური საამიროს“ ამირას მიერ დანიშნული სათათბირო საბჭო (მაჯლის აშ-შურა) ასრულებდა საკანონმდებლო მოვალეობებს და ცხრა წევრისგან შედგებოდა: ნაიბი ანუ ამირას მოადგილე, სამხედრო ამირა, ყადი, გალგაჩოს, ყაბარდო-ბალყარეთისა და ყარაჩაის ვილაიეთების, ნოხჩიჩოს ვილაიეთის აღმოსავლეთ ნაწილის და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის ამირები და ანსართა ამირები.[17]

ამირას ჰყავდა რამდენიმე მოადგილე, რომლებიც მეთაურობდნენ სხვადასხვა კომიტეტებს როგორებიც იყო ჯიჰადის უსაფრთხოების, საინფორმაციო, იდეოლოგიური და სხვა. სასამართლო სტრუქტურას, რომელიც შარიათის პრინციპების საფუძველზე იყო მოწყობილი, მეთაურობდა ამირას მიერ არჩეული მოსამართლე ანუ ყადი. არსებობდა ასევე ,,ვექიალეთი“ ანუ საზღვარგარეთის წარმომადგენლობა, რომლებსაც ევალებოდათ სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ საკუთარ თანამემამულეებთან კონტაქტების დამყარება.

საამიროს სამმართველო სტრუქტურებში ძირითადად ახალგაზრდები (18-28) იყვნენ დასაქმებულები, თუმცა პრესტიჟულ და მაღალ თანამდებობებს ისინი ვერ იკავებდენ, რადგან შედარებით საპასუხისმგებლო ადგილებზე ასაკოვანი (5-50) და გამორჩეული მებრძოლები ინიშნებოდნენ , რომლებმაც საბრძოლო უნდარ-ჩვევევები ჩეჩნეთში ბრძოლების დროს დააგროვეს. გარდა ამისა, ამ არასახელმწიფოებრივი გაერთიანების ყველა წევრი ვალდებული იყო ეტარებინა მხოლოდ ისლამური

[17]თ. ქაროსანიძე ,,ისლამური რადიკალიზმი კავკასიაში და მისი კავშირები ახლო აღმმოსავლეთის ისლამურ ფუნდამენტალიზმთან“ ახლო აღმოსავლეთი და საქართველო VIII, ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის გამომცემლობა 2014, გვ.305

სახელი ყურანში დაშვებული ფორმით (საკუთარი, მამის და უფროსი შვილის სახელები), წინააღმდეგ შემთხვევაში ის რჯულის შეურაწმხყოფელად ცხადდებოდა.

,,კავკასიის ისლამური საამიროს“ სტრუქტურა მსგავსი იყო ,,მუსლიმი ძმების“ (ალ-იხვან ალ-მუსლიმუნ) ორგანიზაციის სტრუქტურისა. ეგვიპტეში მოქმედი ერთ-ერთი უძველესი ასოციაცია 1928 წელს შექმნა შეიხ ჰასან ალ-ბანამ, თავდაპირველად ის საქველმოქმედო საგანმანათლებლო იდეოლოგიის გამტარებელი იყო, ხოლო ტერორის მეთოდების ფართოდ გამოყენების შემდეგ გადაიქცა პოლიტიკურ ორგანიზაციად. მსგავსად კავკასიის იმარატისა მუსლიმ ძმებსაც ერთპიროვნული მმართველი ჰყავდა. ასოციაციას ჰქონდა რთული სტრუქტურა, რომელშიც გაერთიანებული იყო სუფიური საძმოებისა და თანამედროვე ევროპული ავტორიტარული პარტიების მმართველობის ელემენტები: მკაცრი ცენტრალიზაცია, ასოციაციის ხელმძღვანელის განსაკუთრებული როლი, უჯრედების განშტოებული ქსელი, გასამხედროებული რაზმები და სხვა. მუსლიმი ძმების ორგანიზაციაში გათვალისწინებული იყო მორჩილების სამი სტადია: 1. ფორმირება, როცა სრულიმორჩილება არ არის აუცილებელი; 2. მომზადება ჯიჰადის შესასრულებლად - მორჩილება ეჭვის გარეშე და, 3. ჯიჰადის დრო - სრული მორჩილება“[18].

2009 წელს დოკუ უმაროვმა დააარსა წამებულთა ბრიგადა (რიად ას-სალიჰინ). მსგავსად მუსლიმი ძმების ორგანიზაციაში შექმნილი სპეციალური აპარატისა წამებულთა ბრიგადაც გასაიდუმლოებული იყო, მისი ფუნქცია კი ტერორისტული აქტების ორგანიზება და განხორციელება იყო.[19]

როგორც მუსლიმი ძმების ორგანიზაცია, ასევე კავკასიის საამირო ეფუძნებოდა კუტბი საიდის იდეოლოგიას. საიიდ კუტბი (1906-1966) იყო მუსლიმი ძმების ასოციაციის თეორიტიკოსი და იდეოლოგი, რომელმაც ისლამური აღორძინების იდეოლოგიის საკითხებზე დაამუშავა 8 ნაშრომი, სწორედ მათ საფუძველზე შეიქმნა

---

[18]ნ.გელოვანი, გ.სანიკიძე ,,ისლამი-რელიგია, ისტორია, კულტურა“ თბილისის უნივერისტეტის გამომცემლობა, თბილისი 2009, გვ.42

[19]ნ.ჯანელიძე ,,თანამედროვე ჩეჩნური ნაციონალიზმის ნიშნები და თავისებურებები“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2015 წელი, გვ. 95.

ამ ორგანიზაციის იდეოლოგიაც. საიდ კუტბის დებულების მიხედვით ისლამის აღორძინება იყო აუცილებელი, რადგან დადგა დრო ურწმუნოებისა და ყურანის უცოდინრობის. მისი აზრით, მთელი მსოფლიო - მუსლიმი თუ არამუსლიმი დაბრუნდა ჯაჰილიაში (პერიოდი, სანამ მუჰამადი იქადაგებდა და გაავრცელებდა ისლამს), სწორედ ამიტომ უსამართლო სოციალური სისტემა (ალ-ნიზამ ალ-ჯაჰილიაა) უნდა გარდაიქმნას სამართლიანად (ალ-ნიზამ ალ-ისლამ) მუსლიმური თემის უმმას და ძალადობრივი მეთოდების საშუალებით. საიდ კუტბის მიხედვით ადამიანი უნდა ემორჩილებოდეს ერთ ღმერთს და ადამიანთა ერთმა ჯგუფმა არ უნდა იბატონოს მეორე ჯგუფზე.[20] საამიროს ძირითადი იდეოლოგია იყო ასევე თაფქირიზმი -ურწმუნეობაში დადანაშაულება (ლა ილლაჰა ილა ლაჰ და მუჰამადდუნ რასსულუ ლლაჰ - არა არს სხვა ღმერთი გარდა ალლაჰის და მუჰამადი ალლაჰის მოციქულია) და სალაფიზმი - თავდაპირველ ისლამთან დაბრუნება. საიდ კუტბი მორწმუნეებს ჯიჰადისკენ მოუწოდებდა და ახსენებდა მარლთმორწმუნე ხალიფების პერიოდს, როდესაც არაბებმა საღმრთო ომის სახელით დაიბყრეს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. ის წერდა, რომ ყოველი ნაწილი იმ მიწის სადაც მუსლიმი ლოცულობს მათი საკუთრებაა და ნებისმიერ ფასად საკუტრების დაცვა კი მათი ვალდებულება იყო ალ-ლაჰის წინაშე.

ისლამისტების დამოკიდებულება დასავლეთთან და ზოგადად დანარჩენ მსოფლიოსთან დაკავშირებით შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

1. ნოსტალგია (ისლამმა შეიტანა დასავლეთში ცივილიზაცია);
2. დასავლეთის ფასეულობების უარყოფით კონტექსტში წარმოჩინება და მათი ,,ორმაგი“ პოლიტიკის გამოცნობა;
3. ისლამის აპოლოგია (ისლამია ერთადერთი ნათელი და საუკეთესო რელიგია).[21]

კავკასიის საამიროს შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა საზღვარგარეთის ფონდებიდან მიღებული შემოსავლები, აშშ-ს დაზვერვის სამსახური ორ ფონდს

[20]ნ.გელოვანი, გ.სანიკიძე ,,ისლამი-რელიგია, ისტორია, კულტურა“ თბილისის უნივერისტეტის გამომცემლობა, თბილისი 2009, გვ.157.
[21]იგივე

ასახელებს: ალ-ჰარამაინი და საერთაშორისო საქველმოქმედო ისლამური ფონდი.[22] გარდა ამისა, ადგილობრივი ბიზნესმენებისგან და მაღალჩინოსნებისგან ხელშეუხებლობის პირობით ფულის გამოძალვა ერთ-ერთ გზას წარმოადგენდა ბიუჯეტის გამდიდრებისა. მკკვლევარები უსამა ბინ ლადენის ფინანსურ კავშირებზეც საუბრობენ კავკასიის საემიროსთან, არაოფიციალური მონაცემებით, სწორედ ბინ ლადენის მიერ გაწვრთნილი 3000 მებრძოლიდან უმეტესობა ჩეჩნეთში იყო გაგზავნილი. გარდა ამისა, ჩეჩნეთში ავღანელი მუჯაჰედები ჩეჩნეთში სამხედრო ტაქტიკის სწავლებისთვის იყვნენ მიწვეულები. ბრძოლებში დახმარება პირიქითაც ხდებოდა, ჩეჩნური დაჯგუფებები აქტიურად იბრძოდნენ სირიაშიც. აღსანიშნავია, რომ სწორედ დოკუ უმაროვი თავდაპირველად წინააღმდეგი იყო, რომ ჩეჩენ რადიკალისტებს მონაწილეობა მიეღოთ სირიის ომში, თუმცა ბოლოს მხარს უჭერდა მათ, და ამ ფაქტს იმით ხსნიდა, რომ ჩეჩნები საბრძოლო გამოცდილების მისაღებად მიდიოდნენ ისალმური სახელმწიფოს რიგებში საბრძოლველად, რადგან საკუთარი საწვრთნელი ცენტრების უქონლობა არ იძლეოდა შესაძლებლობას მიეღოთ პრაქტიკული გამოცდილება.

,,კავკასიის ისლამური საამიროს“ წარმომადგენები ყველა საშუალებას იყენებდნენ საზოგადოებაში შიშის დასანერგად და საკუთარი სიძლიერის დასამტკიცებლად. ამის ნათელი მაგალითი იყო მათ მიერ შექმნილი ინტერნეტ საიტები. გარდა ძალის დემონსტრირებისა, ინტერნეტსაიტების საშუალებით ხდებოდა ახალი წევრების გადაბირება ორგანიზაციებში და ფინანსების მოძიება.

რაც შეეხება საამიროს საბრძოლო ტაქტიკას, ის მსგავსად ალ-ქაიდის, ჰეზბოლა, მუსლიმი ძმები და ა.შ იყო წმინდა პარტიზანული. მებრძოლები ძირითადად ღამით მცირერიცხოვან ჯგუფებად მოქმედებდნენ, თუმცა მიუხედავად ამისა, ისინი არც ღია და მასშტაბურ დაპირისპირებას ერიდებოდნენ მოწინააღმდეგესთან. ,,რელსების ომის“ სპეციფიკიდან გამომდინარე

[22]თ. ქაროსანიძე ,,ისლამური რადიკალიზმი კავკასიაში და მისი კავშირები ახლო აღმმოსავლეთის ისლამურ ფუნდამენტალიზმთან“ ახლო აღმოსავლეთი და საქართველო VIII, ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის გამომცემლობა 2014, გვ.306

ჩრდილოკავკასიელი მებრძოლები ცდილობდნენ მოწინააღმდეგის ინფრასტრუქტურა გაენადგურებინათ, რასაც ალაჰის სადიდებელ საქმიანობდა მიიჩნევდნენ, ბრძოლის ასეთი პარტიზანული მიმდინარეობა ავღანეთში წარმოიშვა, რომლის ყველაზე აპრობირებული სახეობა არის ისთიშაჰადი, რაც გულისხმობს თვითმკვლელი დივერსანტის სხეულზე მიმაგრებული ასაფეთქებელი ნივთიერებით თავის აფეთქებას და მსხვერპლის დიდ რაოდენობას.[23]

,,კავკასიის ისლამური საამიროს" არსებობის ისტორიაში 2015 წლის აპრილში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა, როდესაც მებრძოლები შეუერთდნენ ,,ისლამურ სახელმწიფოს" და ერთგულება შეჰფიცეს მათ მეთაურს. ჩრდილეთ კავკასიის რადიკალისტური დაჯგუფების გავლენიანი წარმომადგენლები ისლამური სახელმწიფოს რიგებში ჩაირიცხნენ და საკუთარი ,,კარიერის" აწყობა ამ გავლენიანი ძალის ქვეშ გააგრძელეს.

2.3. დაზვერვის როლი საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციაში

ტერორიზმი 21-ე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა და მწვავე პრობლემაა, რომლის წინაშეც კაცობრიობა დგას. ის საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. გამომდინარე იქიდან, რომ კავკასია თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით ურთულეს რეგიონს წარმოადგენს, ის საკმაოდ ბევრი სახელმწიფოს და ტერორისტული დაჯგუფების ინტერესის სფეროს წარმოადგენს. რეგიონში სეპარატისტული რეჟიმების არსებობა, რეგიონს მოწყვლადს ხდის ტერორისტული ორგანიზაციებისთვის.

[23]გ.არდაზიშვილი, კავკასიური ვაჰაბიზმი და მისი თავისებურებების მოკლე ანატომია, ჟურნალი ტაბულა, 08.2012, http://www.tabula.ge/ge/tablog/65731-kavkasiuri-vahabizmi-da-misi-taviseburebebis-mokle-anatomia (ბოლო ნახვა 10.05.2019)

ისტორიული პროცესების ანალიზი აჩვენებს, რომ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებში, ერთ ქვეყანაში კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური ჯგუფების თანხვედრა მეზობელი სახელმწიფოს ეთნოსთან, პირობითად ერთეროვანი სახელმწიფოების არსებობა, უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო ზეგავლენისა და შეღწევადობისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

ტერორიზმის გავნვითარებისთვის მნიშვნელოვანია შეიქმნას გარემო, სადაც ის ფეხის მყარად მოკიდებას შეძლებს. ფაქტობრივად, ტერორიზმი იზრდება მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი უთანხმოებების საფუძველზე, ტერორისტულ ქმედებებს კი პოლიტიკური, სოციალური, ეროვნული ხასიათის კონფლიქტები იწვევს. ამის ნათელი მაგალითია კავკასიის რეგიონი, სადაც ატიურად მუშაობენ სადაზვერვო საქმიანობის ნიშნების შემცველი ქმედებებით გამორჩეული სხვადასხვა ლობისტური ჯგუფები. ყოველივე ეს კი, კავკასიის რეგიონში სხვადასხვა სახელმწიფოთა სადაზვერვო სამსახურების ზეგავლენისა და შეღწევადობის აქტიურ როლზე მიანიშნებს.

სახელმწიფოების სპეცსამსახურების მსგავსად, ტერორისტული ორგანიზაციები ხშირად ქმნიან ერთგულ ე.წ. „სადაზვერვო ჯგუფებს“, რომლებსაც ევალებათ მნიშვნელოვანი ინფორმაციების მოპოვება, ადამიანების გადაბირება, კონფლიქტური სიტუაციების შექმნა და მისი გამწვავება, რომელიც მიმართულია ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების ან მისი ძალადობრივი შეცვლისკენ, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო ბერკეტების ხელში ჩაგდებისაკენ და სხვა.[24]24 საუკუნის წინ, ცნობილი ჩინელი სამხედრო თეორიტიკოსის სუნ ძის მოსაზრებით ,,არმია საიდუმლო ჯაშუშების გარეშე იგივეა რაც ადამიანი, რომელსაც არ აქვს სმენა და მხედველობა“.იგივე შეგვიძლია ვთქვათ

[24]კ.ფუტკარაძე, „გადმობირების მიმართულებები, მეთოდები და ხელშემწყობი ფაქტორები“ (ბოლო ნახვა 15.05.2019) https://www.scribd.com

ტერორისტულ ორგანიზაციებზეც.[25]გამოყენების თვალსაზრისით ტერორიზმი სადაზვერვო საქმიანობის ოთხივე მიმართულებისათვის (პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური) ხელსაყრელ იარაღს წარმოადგენს.

სადაზვერვო და ტერორისტული საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად და უმნიშვნელოვანეს პირობას გადაბირებითი საქმიანობის სწორად დაგეგმვა და შესრულება წარმოადგენს. მისი წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელია დროულობით, სანდოობით და სრულყოფილებით გამორჩეული ინფორმაციების შეკრება და ანალიზი. გადაბირების თვალსაზრისით, სადაზვერვო სამსახურების მსგავსად, ტერორისტული ორგანიზაციების სამიზნეები ხშირ შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ხდებიან. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ეთნიკური უმცირესობის ზუსტი განმარტება, ამ ტერმინის ქვეშ მოიაზრება ის ჯგუფი, რომელიც მცირერიცხოვანია ქვეყნის დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით და განსხვავდება კულტურულად, ენობრივად, რასობრივად და ა.შ. ამ პროცესისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია როგორც ინდივიდების, ისე ჯგუფების რელიგიური ნიშნით თანხვედრის პირობის არსებობა, რაც პროცესის წარატების განმაპირობებელი გარემოებაცაა.

ტერორისტული ორგანიზაციები, როდესაც გადაბირებისათვის სამიზნე პირს ირჩევენ, პირველ რიგში ისინი სწავლობენ შეღწევადობის ობიექტის დამოკიდებულებას სახელმწიფო ხელისუფლებასთან. გადამბირებელი პირები ხშირ შემთხვევაში ცდილობენ გააღვივონ კონფლიქტები და ჩამოაგდონ ეთნიკური შუღლი როგორც ინდივიდებს, ისე ჯგუფებს შორის. გადაბირების წარმატებისათვის ხელსაყრელ პირობას ქმნის ქვეყნის ხელისუფლებაზე უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის დამკვიდრება და ძლიერი ლობისტური ჯგუფების დახმარებით სამიზნე

[25]პ.ნოზაძე, ,,ტერორისტული დაზვერვა თამილი ვეფხვების მაგალითზე“ (ბოლო ნახვა 17.05.2019) https://www.scribd.com

პირებისადმი არასწორი წარმოდგენების ინსპირირება, რომლისათვის დეზინფორმაცია ერთ-ერთ მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენს. უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო საქმიანობის მასშტაბურობის მნიშვნელოვან პირობად უნდა ჩაითვალოს ჩრდილოეთ კავასიაში გავრცელებული ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობა ვაჰაბიზმი. ამ მიმართულებით პირველი თემები კავკასიაში XX საუკუნის 70-იან წლებში გაჩნდა და მათი გავლენის არეალის მნიშვნელოვანი გავრცელება ძირითადად გარე ძალების (უცხო სახელმწიფოთა) გავლენის და დაფინანსების ხარჯზე ხდებოდა.

ჩრდილოეთ კავკასიაში ვაჰაბიტური იდეების გავრცელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება გახდა ახალგაზრდების სასწავლებლად გაგზავნა საუდის არაბეთში, ქუვეითსა და პაკისტანში, საიდანაც დაბრუნებული სტუდენტები რადიკალური იდეებით გამოირჩეოოდნენ. მათი უმრავლესობა დღეისათვის ვაჰაბიტების ინტელექტუალურ ელიტას წარმოადგენს. ჩრდილოეთ კავკასიაში ვაჰაბიტური იდეების გავრცობისათვის, კიდევ ერთ მნიშვნელოვანი საშუალება უცხოელ მქადაგებელთა შემოდინება-საქმიანობა გახდა, რომელმაც განსაკუთრებულ პიკს გასული საუკუნის 90-იან წლებში მიაღწია. ამ მიმართულებით გამოირჩეოდა სახელმწიფო პაკისტანი. ისლამის არასწორმა ინტერპრეტაციამ უშუალოდ პაკისტანიდან შუაზიელი ვაჰაბიტების მეშვეობით შემოაღწია.

ჩრდილოეთ კავასიის მოსახლეობა ეთნიკური, რელიგიური შემადგენლობიდან და სოციალურ-ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო სამსახურების და ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან მოწყვლად გეოგრაფიულ სეგმენტს წარმოადგენს. ამის ნათელი მაგალითია მრავლობითი გადაბირების შემთხვევები, როდესაც ტერორისტული ორგანიზაციების რიგებში კავკასიელები ჩნდებიან. მძიმე სოციალური პირობები, საკუთარი თავის დაუმკვიდრებლობა, რელიგიური ავტორიტეტის მქონე პირების მიერ აქტიური სააგიტაციო ხასიათის საუბრები ქმნიან ტერორისტებისთვის მოწყვლად გარემოს. გადაბირებულთა ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია,

მეტიც, ხშირად მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება მათი იდენტიფიცირება, როცა ისინი გარდაცვლილთა სიაში აღმოჩნდებიან. ჩრდილოეთ კავკასიიდან გადაბირებულთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა თარხან ბათირაშვილი იყო, რომელმაც საკუთარი საქმიანობიდან და ტერორისტების მიერ მინიჭებული ტიტულიდან გამომდინარე საკუთარი სახელი მსოფლიოს კარგად დაამახსოვრა. საქართველოს მოქალაქე, ქართულ არმიაში საკმაოდ მაღალი თანამდებობის მქონე პიროვნება მალევე აღმოჩნდა გისოსებს მიღმა. პატიმრობის შემდეგ კი საზღვარი გადაკვეთა და შეუერთდა ,,ისლამური სახელმწიფოს“ სახელით ცნობილ ტერორისტულ ორგანიზაციას. მის გონებაში დამკვიდრებულმა რადიკალიზმმა გამოხატულება ძალადობრივ მეთოდებში ჰპოვა. მეტად საყურადღებო ის ფაქტი გახლდა, რომ თარხანბათირაშვილის საქციელი და მისი გადასვლა ,,ისლამურ სახელმწიფოში“ პანკისის ხეობის მოსახლეობის უმრავლესობამ აღიქვა, როგორც გმირული საქციელი და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებისგან თავის დაღწევის საშუალება.

რადიკალი ისლამისტების ჯგუფის შევსება ახალგაზრდებით არაერთი მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი ფაქტორით არის გამოწვეული. ხშირ შემთხვევაში მათი გადაბირება ხორციელდება წინასწარ განძრახული გეგმის საშუალებით, გარდა ამისა თავად ამ ახალი თაობის წარმოამდგენლებსაც აქვთ სურვილი ვაჰაბიტთა და სალაფიტთა რიგებში გაწევრიანებისა. ჩრდილოეთ კავკასიაში მოწყვლადი გარემო ამ მიმართულებით იქმნება იმიტომ, რომ ახალგაზრდები დაბადებიდანვე მძიმე ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იზრდებიან, ისლამის კანონებს ამოფარებული აგრესიული მეთოდები მათ სრულფასოვან განვითარებას უშლის ხელს. ერთი მხრივ მუდმივ შიშში, სადამსჯელო რაზმებსა თუ აფეთქებებში ცხოვრება, მეორეს მხრივ უმუშევრობა, შიმშილი, მატერიალური პრობლემები და ამ ყოველივეს საპირწონედ კი ადამიანთა მცირე ჯგუფი, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ, უზრუნველყოფილი აქვთ მომავალი და ერთი შეხედვით გაცილებით ,,ბედნიერები“ არიან, მათ აირჩიეს ,,სწორი ცხოვრების გზა“, ,,საკუთარი სიცოცხლე მიუძღვნეს ალლაჰს“ და ყველაზე მთავარი აქვთ იარაღი, რაც

ყოველი კავკასიელისთვის დაბადებიდანვე შესისხლხორცებულია. სწორედ ეს განსხვავებები და ,,ნათელი მომავლის“ იმედია ახალგაზრდებისთვის მიმზიდველი, მით უმეტეს, როდესაც გადამბირებლები მოტივაციის ასამაღლებლად მათ პირდებიან საზღვარგარეთ წასვლის შესაძლებლობას, წვრთნას, 18-20 წლის ასაკში პარტიზანულ საქმიანობას, ნარკოტიკებით უზრუნველყოფას და მატერიალური პრობლემების მოგვარებას.

გარდა ამისა ცალე უნდა გამოვყოთ ის კატეგორია, რომლებსაც უშუალოდ კამიკაძეებად ამზადებენ, მათი გადაბირებაც და მომზადებაც შედარებით უფრო სფეციფიკურია. ამ საქმიანობისთვის შერჩეული ადამიანის ,,კრიტერიუმებიდან“ ერთ-ერთი აუცილებლად უნდა იყოს მისი ოჯახის რომელიმე წევრის დაღუპვა ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბრძოლის ან დაპირისპირების დროს, გარდა ამისა მათ დიდი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ატარებენ და გონებას ნარკოტიკული საშუალებების დიდი დოზებით უბინდავენ.

გარდა აღნიშნულისა, ტერორისტული ორგანიზაციების საიდუმლო სადაზვერვო ჯგუფების მოქმედება მედია სივრცეებშიც შეინიშნებოდა, როდესაც ისინი პროპაგანდას უწევდნენ ინტერნეტ-საიტებითა თუ ვიდეო მიმართვებით ვაჰაბიზმის ძირითად მიმართულებებს.

გამომდინარე დაზვერვის აქტიური როლისა და მნიშვნელობისა, ჩრდილოეთ კავკასიაში ,,მუხაბარტის“ საშუალებით ხორციელდებოდა საქმიანობები აღნიშნული მიმართულებით. ამ სტრუქტურას, მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა. გამომდინარე დაზვერვის აქტიური როლისა და მნიშვნელობისა, ჩრდილოეთ კავკასიაში ,,მუხაბარტის“ საშუალებით ხორციელდებოდა საქმიანობები აღნიშნული მიმართულებით. ამ სტრუქტურას, მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა რადიკალისტურად განწყობილი ჯგუფების წარმატებაში. 2008 წლის ივლისში, კავკასიური ილამური საამიროს მმართველის დოკუ უმაროვის ბრძანებით დაარსდა - სპეცსამსახური ,,მუხაბარატი“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა თარხან გაზიევი. ის წარმოადგენდა სპეციალურ სადაზვერვო ორგანოს ჩრდილოეთ კავკასიაში.

აღნიშნული სტრუქტურის ხელმძღვანელობას და კონსულტირებას ახორციელებდა მუსა მარვანი (არაბ. ,,თეთრი არაბი“). მუხაბარატის მეთაურს და დოკუ უმაროვს დამთავრებული ჰქოდათ 1996 წელს ჩეჩნეთში ჩამოყალიბებული ისლამისტური სამხედრო-საწვრთნელი ინსტიტუტი ,,კავკასია“, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა შამილ ბასაევმა, ხოლო ის ფინანსურად უზრუნველყო (10 მილიონი ამერიკული დოლარი) უსამა ბენ ლადენმა. აქედან გამომდიანრე, ნათელია, რომ ,,მუხაბარატი“ წარმოადგენდა დე-ფაქტოდ ,,ალ კაიდას“ უშუალო წარმომადგენლობას კავკასიის რეგიონში.

თავი მესამე

კავკასიური ისლამური ტერორიზმის ფემინიზაცია

21-ე საუკუნეში ტერორიზმმა განსაკუთრებული როლი და დატვირთვა შეიძინა. ბრძოლის ახლებურ ეტაპზე გადასვლად შეიძლება ჩაითვალოს ტერორისტთა მხრიდან თვითმკვლელი ქალების გამოყენება. მდედრობითი სქესის წარმომადგენლების მიერ ჩატარებული არაერთი ,,წარმატებული“ ტერაქტი გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ საჭიროა თავდაცვის ახალი საშუალებები შევიმუშავოთ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად.

ქალის როლი ისლამში მეტად არაერთგვაროვანია. თვითონ ყურანშიც ორაზროვნად არის გადმოცემული მდედრობითი სქესის მოვალეობები, უფლებები და ვალდებულებები. ევროპული თავისუფლების პრინციპების გათვალისწინებით ყველა ვაჰაბიტური იდეებით განწყობილ არაბულ ქვეყანაში ქალის ყოველდღიური

ოჯახური ყოფა გამომდინარე წესებისა აუტანელი და გაუსაძლისია. არც ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონი ,,ღალატობს ტრადიციას“. გაუნათლებლობა, მძიმე ოჯახური ცხოვრება, ეკონომიკური სიდუხჭირე, რადიკალური იდეოლოგია, შურისძიების წყურვილი ეს არასრული ჩამონათვალია იმ მოტივებისა რაც თვითმკვლელ შაჰიდ ქალებს ამოძრავებთ. ტერორისტების მიერ მათ არჩევას საკუთარ რიგებში ჩასარიცხად წინ მრავალი წინაპირობა უძღვის. სწორედ გარემოებების გათვალისწინებით და გარე ძალების ,,დახმარებით“ ამბობს თვითმკვლელი შაჰიდი ქალი სიცოცხლეზე უარს და ცხოვრების გაგრძელებას მოწამეობრივ სიკვდილს ამჯობინებს სამოთხეში მოხვედრის იმედით.

3.1 ფემინიზმი საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში

საზოგადოებაში ქალის მდგომარეობა ყოველთვის დავის საგანს წარმოადგენდა, საუკუნეების განმავლობაში ტაბუ იყო დადებული ქალის სოციალურ-პოლიტიკური მოღვაწეობაზე და მისი ნიჭიერების სრულად გამოვლენაზე. ადამიანთა ცნობიერებაშიც ნელ-ნელა ჩამოყალიბდა და ღრმად გაიდგა ფესვები აზრმა იმის შესახებ, რომ ქალის სოციალური და საზოგადოებრივი ჩართულობა უარყოფითად მოქმედებს ოჯახზე, ბავშვებზე, ცოლ-ქმრულ ურთიერთობებზე და ა.შ ასეთი დამოკიდებულება ქალებში გარკვეულ დანაშაულის გრძნობას იწვევდა, რაც კარიერულ წინსვლას უშლიდა ხელს.

ფემინიზმი (ლათ. Femina - ქალი), არის ქალებისა და მამაკაცების უფლებების გათანაბრებისთვის წარმოებული მოძრაობა და სოციალურ - პოლიტიკური თეორიის საერთო სახელწოდება. მისი წარმომადგენლები ცდილობდნენ გაქარწყლებინათ

ადამიანთა გონებაში და ცნობიერებაში ღრმად ჩამჯდარი აზრი პატრიარქატის უპირატესობაზე.

მე-20 საუუნის 60-იან წლებში ფემინიზმის სამი ძირითადი მიმართულება ჩამოყალიბდა:[26]

1. **ლიბერალურ - რეფორმატორული მიმართულება** - ქალთა არათანაბარ უფლებიანობას ისინი სამოქალაქო და იურიდიული უფლებების უქონლობაში ხედავდენ და მისი გადაჭრის გზებად სოციალურ-ეკონომიკურ და იურიდიულ რეფორმებს მიიჩნევდნენ.
2. **სოციალისტური მიმდინარეობა** - ქალთა დისკრიმინაციის ძირითად მიზეზებად აქ კერძო საკუთრებას და საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურას მიიჩნევდნენ. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ ქალტა პრობლემების კლასობრივი და ზოგადი სოციალური პრობლემებიდან ცალკე გამოყოფას.
3. **რადიკალური მიმართულება** - ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მიმართულებაა, რომელიც იკვლევს ქალთა ჩაგვრის ზოგადად სიღრმისეულ საფუძვლებს. მის მიმდევართა აზრით ამგავრი სისტემა არის პატრიარქატი - ქალებზე მამაკაცების დომინირება. [27]

დღევანდელ მსოფლიო რეალობაში ამ სამი მიმდინარეობის ფემინიზმი თითქმის არ არსებობს, სამაგიეროდ გაჩნდა ახალი მიმართულებები: ,,კულტურული ფემინიზმი", რომლის დამცველებიც ქალური კულტურის განვითარების იდეით გამოდიან, ,,ჰუმანური ფემინიზმი" გულისხმობს ქალური და მამაკაცური თვისებების თნაბრად აღიარებას; ,,შავი ფემინიზმი" - შავკანიან ამერიკელთა ფემინიზმი; ,,მუსლიმანური ფემინიზმი" გულისხმობს ისლამის მიმდევარი ქალების უფელბების დაცვას და რელიგიური ტრადიციების რადიკალურად განსხვავებულ ინტერპრეტირებას.

21-ე საუკუნეში ქალთა ცხოვრების და მოღვაწეობის პრაქტიკიდან გამომდინარე ფემინიზმის თეორიამ საერთაშორისო ურთიერთობებში ახალი

---

[26]თ.კიკნაძე, ნ.დონაძე ,,გენდერი - სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი", სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი 2006, გვ.13.
[27]იგივე

გამოხატულება ჰპოვა, ის წინააღმდეგობას უწევდა ქალების სრულ იზოლაციას საერთაშორისო ასპარეზზე. ეს იზოლაცია კი მიზნად ისახავდა ქალების სრულ მარგინალიზაციას, თითქოს, მათი ყოველდღიური ყოფა გავლენას არ ახდენდა საერთაშორისო ურთიერთობებზე, გარდა ამისა ფემინისტური გავლენა თანამედროვეობაზე შეიძლება გავიგოთ როგორც სქესის დეკონსტრუქცუია, რაც მიზნად ისახვს სოციალურად ჩამოყალიბებულ გენდერის დანაწევრებას. ფემინიზმის მიზანი ამ ეტაპზე არის ის, რომ საზოგადოებას დაანახონ მდედრობითი სქესის წარმომადგენლების ცხოვრება, რომ ქალები ყოველდღიურად აწყდებიან გენდერული ნიშნით ძალადობას ყველა სფეროში. მაგალითად, გაეროს ყოფილი გენერალური მდივნის პან გი მუნის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩატარდა კვლევა სუსტ სქესზე ძალადობის გამოვლენის ფაქტებზე და შედეგად დადგინდა, რომ 10-დან 7 ქალი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ხდება სექსუალური ან გენდერული ძალადობის მსხვერპლი. ამასთან ერთად 600 მილიონი ქალი ცხოვრობს ისეთ ქვეყნებში, სადაც ოჯახური ძალადობა მიღებული და გავრცელებული ჩაგვრის მექანიზმია. [28] გარდა ამისა, ამისა, ფემინისტების მტკიცებით ქალებს არც პოლიტიურ და არც ეკონომიკურ სფეროებში არ აქვთ თანაბარი შესაძლებლობები, როგროც მამაკაცებს. სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმების კუთხითაც თვალში საცემად არის დარღვეული გენდერული ბალანსი. მაგალითად, მსოფლიო ბანკის 2005 წლის მონაცემებით, ნაციონალურ პარლამენტებში ქალტა რაოდენობა მხოლოდ 22.9%-ს შეადგენდა.[29] ფემინისტები საკუთარ მოვალეობად თვლიან იმ სტერეოტიპების დამსხვრევას, რომ თითქოს ძალოვან სტრუქტურებში ან სახელმწიფო ინსტიტუტებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მხოლოდ კაცები იქნან არჩეულები. ტრადიციულად, ძალოვან სტრუქტურებს მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლები ხელმძღვანელობენ, იგივე ვითარებაა გლობალურ პოლიტიკაშიც, სადაც მოწინავე რიგებში ძირიტადად მხოლოდ კაცები არიან ჩართულები.

---

[28]S.Smith ,,Feminism" International Relations Theory S. Mcglinchey, R. Walters, Ch. Scheinpflug, E-International Relations Publishing, Bristol, England 2017

[29] იგივე

დღევანდელ რეალობაში, საერთაშორისო ურთიერთობის პროცესების მიმდინარეობა კი გვარწმუნებს, რომ გლობალურ საკაცობრიო საკითხების გადაწყვეტაში ქალის გამჭრიახი გონება და გადაწყვეტილებები საჭირო და ხშირ შემთხვევაში აუცილებელიცაა.

საერთაშორისო ურთიერთობების ტრადიციული თეორიების დამცველები უგულებელყოფენ ქალის როლის მნიშვნელობას, პირიქით, ისინი ერთგავრად უპირისპირდებიან გენდერული თანასწორობის ასპექტებს, რითაც ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო პოლიტიკაში მდედრობითი სქესის ჩართულობას. ამით ქმნიან ილუზიას, რომ თუ ქალი არ იმყოფება მოწინავე პოზიციებზე, მისი როლი უმნიშვნელო და არაფრისმომცემია.

მეორე მთავარ გამოწვევად ფემინისტებისთვის რჩება გენდერული სოციალური მოლოდინების მსხვრევა, როგორც მდედრობითი ასევე მამრობითი სქესის მიმართ. კერძოდ, საზოგადოდ გავრცელებული აზრით, ,,მამაკაცური" აღიქმება, როგორც რაციონალური, დამოუკიდებელი, ძალაუფლების მოყვარული, ხოლო ,,ქალური" ირაციონალური, დამოკიდებული, მხოლოდ საოჯახო და საყოფაცხოვრებო საქმეებთან ასოცირებული. ეს დამოკიდებულება კი პირდაპირ აისახება საერთაშორისო ურთიერთობებზე.

სინტია ენლომ (1989წ.) დასვა კითხვა- ,,სად არიან ქალები?!" რითაც მკვლევარებს მიუთითა ყურადღება გაემახვილებინათ ქალების მოქმედების არეალზე პოლიტიკაში და მიმხვდარიყვნენ, რომ მათი როლი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს თანამედროვე პროცესებზე. [30]

როგორც უკვე აღვნიშნე, ტრადიციულად, სამხედრო საქმე და მობილიზაცია ასოცირებული იყო მხოლოდ მამაკაცებთან და თავადაც ამ სფეროს მხოლოდ მათ მოვალეობად თვლიდნენ. ამასთან ერთად, ქალების, ბავშვებისა და უუნარო ადამიანების უსაფრთხოებაზე ზრუნვაც ამ ვალდებულებას ემატებოდა. მიუხედავად ამისა, საბრძოლო მოქმედებების წარმოების დროს უამრავი ფაქტი ფიქსირდებოდა

[30]იგივე

სექსუალური ძალადობისა, მაგრამ ეს საკითხი დღის წესრიგში მხოლოდ ახლახანს დადგა. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის დროს ქალთა მიმართ ძალადობის უამრავი ფაქტი დაფიქსირდა, თუმცა ეს ყოველივე ომის მძიმე პირობებს დააბრალეს და საერთოდ იგნორირება გაუკეთეს მას. მხოლოდ 2002 წელს რომის სტატუტმა სცნო სექსუალური ძალადობა როგორც სამხედრო დანაშაული, მიუხედავად ამისა, რეალური სურათი ამ მიმართულებით დიდად არ შეცვლილა, რადგან სამხედრო მოქმედებების მიმდინარეობის დროს კვლავ მრავალი ქალი ექცევა სექსუალური ძალადობის ქვეშ. სწორედ ამ ფაქტის წინააღმდეგ გამოდიან ფემინისტები და საუბრობენ ქალების მძიმე ჩაგვრის სხვადასხვა ფორმაზე. ეს ყოველივე განხილულია როგორც გენდერული უთანასწორობის მაგალითი. თანამედროვე ფემინიზმის თეორიის მიმდევრები ამტიცებენ, რომ თუ ქალს განვიხილავთ როგორც მსხვერპლებს და მხოლოდ საყოფაცხოვრებო საქმისთვის განკუთვნილებს, მაშინ მათი როლი გლობალურ პოლიტიკაში ნაკლებ მნიშვნელოვანი იქნება. ქალები, რომლებიც არ ეთანხმებიან გენდერულ თანასწორობას, მიესალმებიან პოლიტიკურ ზეწოლას და ძალადობას, მიუხედავად იმისა რომ თვითონ პირდაპირ ერიდებიან ამის აფიშირებას, გონებაში ჩაბეჭდილი ეს სტერეოტიპი ხელს უწყობს მათ გამიჯვნას საერთაშორისო ურთიერთობებიდან.

ფემინიზმი და მშვიდობის დამყარება არის მთავარი საკითხი, რომელსაც საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარები შეისწავლიან. იმის გათვალისწინებით, რომ არსებული რეალობა დღითიდღე უფრო მასშტაბური და სისხლისმღვრელი ხდება, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაეზარდა მისი სამშვიდობო მისია. სამშვიდობო მისიის უმთავრესი მიზანი პოსტკონფლიქტურ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის ან რეგიონის ხელშეწყობა და რეციდივის აღმოფხვრაა. მათი წარმომადგენლების მთავარი ფუნქცია კი პოსტსაომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების ინსტიტუტების მშენებლობა, პოლიციის და ჯარის მოდერნიზაციაა. ფემინისტებში კი ეს ყოველივე შიშს იწვევს და ამ მიმართულებას ნეგატიურად აღიქვამენ, რადგან ამ სამშვიდობო მისიის მოწინავე თანამდებობებზე

უმეტესწილად მამაკაცები არიან წარმოდგენილები, ასევე მილიტარისტულ საკითხებზეც კაცები იღებენ უპირობო გადაწყვეტილებებს.

ერთის მხრივ კვლევების და დაკვირვებების შედეგად გამოვლინდა, რომ პოსტკონფლიქტურ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში ქალების ჩაგვრა-დამცირება და სექსუალური ძალადობა უფრო მაღალია, ვიდრე კონფლიქტურ მდგომარეობაში ყოფნის დროს. დონა პანკჰურატიმ (2008წ.), რომელიც იკვლევდა პოსტკონფლიქტურ პერიოდებში ქალების სოციალურ და პოლიტიკური მდგომარეობას გამოავლინა, რომ ხშირ შემთხვევაში, მათ აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები, რაც გულისხმობს ელემენტარული საყოფაცხოვრებო პროდუქტების ყიდვის შეზღუდვას, განათლების მიღების შეუძლებლობას, უსაფრთხო გარემოს არარსებობას და ა.შ.

3.2. ქალთა უფლებები ისლამში

ქალის უფლებებისთვის ბრძოლას და მის თანასწორობას მამაკაცის უფლებებთან, მისი ადგილის განსაზღვრას პოლიტიკურ, საზოგადოებრივ თუ ოჯახურ სფეროებში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ყოველ ცივილიზაციას და რელიგიას ქალის უფლებებისადმი საკუთარი სპეციფიკური მიდგომა გააჩნია, ასევე ისლამის მიმდევრებისთვის ეს საკითხი განსაუთრებული ყურადღების ქვეშ ექცევა.

VII საუკუნიდან მოყოლებული, როდესაც მუჰამმადმა საფუძველი ჩაუყარა ახალ სარწმუნოებას შარიათისა და რელიგიური კანონების მიხედვით ადამიანთა სამი კატეგორია გამოიყოფოდა, რომლებსაც არ ჰქონდათ უფლებები და არ შეეძლოთ თანასწორობის პრინციპებითა და კანონებით ესარგებლათ, ასეთ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ - მონები, ურწმუნოები და ქალები. ამათგან კი ყველაზე ნაკლებად მდედრობითი სქესის უფლებები იყო გათვალისწინებული. ქალთა მდგომარეობის ასეთი დაკნინენა და მათი უუფლებობა ერთგვარად წინააღმდეგობაში მოდის ყურანისეულ პრინციპებთან და გადმოცემებთან, რადგან სწორედ მუჰამმადის მეუღლე ხადიჯა იყო პირველი ადამიანი, ვინც ირწმუნა წინასწარმეტყველის ხილვების და თავადაც დაარმწმუნა ალლაჰის მოციქული ამ გამოცხადებების ჭეშმარიტებაში, ხელს უწყობდა მას ახალი რელიგიის გავრცელებაში და მომთაბარე

არაბთა გაერთიანებაში. ყურანში დიდი მნიშვნელობაა გამახვილებული ამ ფაქტზე, და ქალის როლი და მნიშვნელობა ოჯახისთვის განსაუთრებულად არის წარმოჩენილი. ,,ქალი ისლამში სიმბოლოა სიყვარულის, სიხარულისა და ბედნიერების, რომელიც მომავალი სიცოცხლის მარადისობისენ მიისწრაფვის. გამომდინარე იქიდან, რომ კაცობრიობის მოდგმის გამგრძელებლის მთავარი მოვალეობები ქალზეა დაკისრებული, მას ეპყრობიან როგორც ახალი სიცოცხლის ჩასახვის მთავარ საფუძველსა და წყაროს“[31]

,,ჩვენი რელიგია, რომელიც ქალებს საპატიო ადგილს აკუთვნებს, მათ უძღვნის წლის არა ერთ, არამედ ყველა დღეს. ჩვენმა ქალებმა უნდა იცოდნენ საკუთარი ფასი და შეეცადონ მათდამი ასეთი დიდი ყურადღება თავისი ზრდილობით გაამართლონ. ისინი ბავშვების აღზრდაში უმთავრეს როლს თამაშობენ, ამიტომ მათ საკმარისი ყურადღება უნდა გამოიჩინონ. ისინი საუკეთესო მობყრობას იმსახურებენ და ჩვენც ვალდებულნი ვართ, რომ მათ ქებისა და მადლობის სიტყვები ხშირად ვუთხრათ.“[32]

მიუხედავად ქაღალდზე დაწერილი ასეთი სიტყვებისა, ისლამის გავრცელებიდან მოყოლებული, ახლო აღმოსავლეთში ქალი ერთგვარად დაქვემდებარებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა მამაკაცთან შედარებით, ისინი ძალიან იშვიათად იკავებდნენ მნიშვნელოვან თანამდებობებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომელიც საშუალებას მისცემდათ გათანაბრებულიყვნენ მამრობით სქესთან. XX საუკუნის დასაწყისიდან აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში და იწყო ისლამის რეფორმიზაცია და მასში თანამედროვე ევროპული თუ სხვა ღირებულებების შეტანა. დასავლეთის ქვეყნების გავლენით არაბულ საზოგადოებაში და მათ შორის კონსერვატიულ წრეებშიც შეაღწია ახალმა მიდგომებმა ცხოვრებისეული პრობლემების და გამოწვევების მიმართ, თუმცა ამას ქალთა მდგომარეობის შემსუბუქებაზე განსაკუთრებული გავლენა არ მოუხდენია, პირიქით სულ უფრო მკვეთრი და ნათელი იყო განსხვავებები ქალთა ცხოვრების პირობების

[31]ო.ერსანი ,,ქალი ისლამში მისი უფლებები და ღირსებები“ ქართველ მუსლიმანთა საზოგადოება, ბათუმი 2011 გვ.20

[32]იგივე

ისლამურ და დასავლურ ქვეყნებში, უმეტეს სახელმწიფოებში ფემინიზმი დისკრედიტირებული იყო მთავრობისა და ფემინიზმის ადგილობრივი მოწინააღმდეგეების მიერ, რადგან მას განიხილავდნენ როგორც კოლონიალიზმის ერთ-ერთ დამახასიათებელ მოვლენას.

მუსლიმური ქვეყნებისთვის ქალთა სპეციფიკური პრობლემებია დამახასიათებელი: ზოგიერთ ქვეყანაში - ეს არის შრომისა და პოლიტიკური უფლებების არარსებობის პრობლემა (საუდის არაბეთი და სპარსეთის ყურის ქვეყნები), ზოგან საზოგადოებრივი მენტალიტეტის (არაბული ქვეყნები), ზოგან განათლების პრობლემა (სპასრსეთის ყურის და აფრიკის ჩრდილოეთ ქვეყნები), ზოგან კი დედობის პრობლემა (ეგვიპტე, პალესტინა, ერაყი, იემენი, ლიბანი).[33]

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში ქალი აქტიურად მონიაწილეობს სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტასა და მის მოგვარებაში საკუთარი საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს, ხშირ შემთხვევაში ეს ბრძოლა არ არის საკმარისად შეფასებული ან სულაც შეუმჩნეველი რჩება. არის შემთხვევები, როდესაც მდედრობით სქესის მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში მხოლოდ ფორმალური ხასიათი გააჩნია, რადგან ასეთ ქვეყნებში მმართველ რეჟიმს არ გააჩნია დემოკრატიული ტრადიციები და თვითონ ქალებსაც არ აქვთ ამ აქტივობებისთვის საჭირო გამოცდილება და უნარ-ჩვევევბი.

არაბული ქვეყნების ნაწილში ქალთა უფლებები ონსტიტუციურადაც არის გამყარებული, თუმცა თვითონ სუსტი სქესის წარმოამდგენლების აქტიურობა არის საკმაოდ დაბალი, თუმცა 21-ე საუკუნის ბოლო წლებში აშკარად შეიმჩნევა მცდელობები მუსლიმი ქალებისგან რომ შექმნან გაერთიანებები და შეცვალონ საკუთარი მდგომარეობა და ცხოვრების პირობები.

ქალთა ისლამურ მოძრაობაში შეინიშნება სამი ძირითადი მიმართულება:[34]

---

[33]თ.კუპატაძე ,,ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობის საკითხი ირანში", თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი 2, თბილისი 2013 (მაისი), გვ. 15

[34]იგივე

1) რელიგიური მოღვაწეები, რომლებიც გამოდიან არაპოლიტიკური აქციებით და მიაჩნიათ, რომ მათი აქტიურობის ძირითადი სფერო განათლება, კულტურა და სოციალური ყოფაა, რადგან მათთვის მნიშვნელოვანია ახალგაზრდობის, განსაკუთრებით კი ქალიშვილების რელიგიური სულისკვეთებით აღზრდა, ისლამური მომავლის და ტრადიციების უზრუნველსაყოფად და შესანარჩუნებლად.
2) ,,რეფორმატორები" კი ემხრობიან პოლიტიკური აქციების ჩატარებას და თავიანთი პოლიტიკური მოღვაწეობის ცენტრში სახელმწიფოსა და საზოგადოების რეფორმას აყენებენ.
3) რადიკალური ისლამის მიმდევრები, რომლებიც მზად არიან ქვეყნის სათავეში ნებისმიერი გზით (პოლიტიკური თუ შეიარაღებული) მოვიდნენ. სწორედ ასეთი ჯგუფების მიერ 1995 წელს მოხდა ალჟირის სახელმწიფოსა და საზოგადოების პარალიზება. მათი ექსტრემიზმი ,,ქალთა საკითხის" გადაჭრის მხრივ ისლამურ სამყაროში საკმაოდ რთულ ბარიერს ქმნის.

ყურანში ქალის უფლებებზე რამდენიმე ციტატა მიგვანიშნებს, თუმცა მათი განმარტება ორაზროვნად არის შესაძლებელი, რაც თვით მორწმუნეებსა და მკვლევარებში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მეოთხე სურაში ნათქვამია: ,,მამაკაცები დგანან ქალებზე მაღლა იმიტომ, რომ ალლაჰმა პირველთ მიანიჭა უპირატესობა მეორეებზე და იმიტომ, რომ ისინი თავიანთ ქონებას ხარჯავენ..წესიერი ქალები მოკრძალებულნი არიან ინახავენ საიდუმლოს რასაც ალლაჰი ინახავს, ხოლო ვისი დაუმორჩილებლობაც თქვნე გეშინიათ დაიყოლიეთ, დააგდეთ ისინი ძირს და სცემეთ და თუკი ისინი თქვენს წინაშე დანაშაულს ჩაიდენენ, ნება გეძლევათ სასჯელის ზომა არ ეძიოთ"[35]. აქ აშკარად ჩანს სქესობრივი უთანასწორობის პრობლემა და ძალისმიერი მეთოდებით ცოლზე გავლენის მოხდენის მოვალეობა მუსლიმი მამაკაცისთვის, თუმცა თანაბარუფლებიანობის

[35]თ.კიკნაძე, ნ.დონაძე ,,გენდერი - სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი", სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი 2006, გვ.54

დამცველები ყურანიდან სხვა ციტატას იშველიებენ საკუთარი აზრის გასამყარებლად: ,,მე არ გავწირავ ქმედებას არც ერთი თქვენი მოღვაწისა - არც კაცთა, არც ქალთა“[36].

ყურანი ყველა ისეთ საკითხს ეხება რაც ადამიანთა ცხოვრების ყოველდღიურობაში შეიძლება წარმოიშვას. იქ საუბარია ქორწინების ტრადიციებზე, მაჰრზე (დროებითი ქორწინება), მრავალცოლიანობაზე, განქორწინებაზე, შვილებთან ურთიერთობაზე, ოჯახურ ცხოვრებაზე, ღალატის დროს სასჯელზე, ქონებრივ ურთიერთობებზე. მიუხედავად იმისა, რომ მუჰამადის რამდენიმე გამონათქვამიდან (ჰადისები) სეიძლება დავასვნათ ქალის და კაცის თანაბარ სასჯელებზე, შეიძლება ითქვას, რომ შარიათის კანონების მიხედვით მდედრობითი სქესისთვის დაწესებული სასჯელები გაცილებით მკაცრი და სასტიკია, ვიდრე საპირისპირო სქესისთვის, მეტიც, განქორწინების შემთხვევაში დედას არ აქვს უფლება პრეტენზია განაცხადოს შვილებზე, თუ ქალი არამუსლიმია მას ქონების გაყოფის პრეტენზიის გამოთქმაც არ შეუძლია. მიუხედავად ეკონომიკური განვითარების მაღალი დონისა ისლამურ ქვეყნებში, ქალების უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარია და მათ, უბრალოდ არ შეუძლიათ განათლების მიღება. ბევრ სახელმწიფოში მიღებულია ადრეული ქორწინებაც, როდესაც 13 წლის გოგოს ფულის სანაცვლოდ ათხოვებენ მის ტოლ ან მასზე გაცილებით უფროს მამაკაცზე.

ყურანსა და ჰადისებში განსაზღვრულია მოთხოვნები ქალის სამოსთან დაავშირებითაც: აუცილებელია, რომ სხეულის ყველა ნაწილი, ასევე თმა, სახის და ხელის მტევნის გარდა დაფარული იყოს. ტანსაცმელი უნდა იყოს გაუმჭირვალე, მხოლოდ ქალის სამოსის კატეგორიიდან და არა მამაკაცთა. ტანსაცმელს არ უნდა ჰქონდეს სუნამოს ან რამე მძაფრი სურნელი.[37] ჰიჯაბის (არაბ. დამალვა სხვისი ხედვიდან) ტარების ტრადიცია არაბებმა გადმოიტანეს მეხობელი ბიზანტიიდან და სპარსეთიდან, ტავდაპირველად თავსაბურავს მხოლოდ მოციქულის ცოლები

[36]იგივე

[37]ნ.გელოვანი, გ.სანიკიძე ,,ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია)“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2009 გვ. 137

ატარებდნენ, ხოლო შემდგომ ყველა მორწმუნე ქალისთვის გახდა ის სავალდებულო. მას აღიქვამე, როგროც ,,სწორი ჩაცმის“ ტრადიციას და სიწმინდისა და უმანკოების სიმბოლოს.

შარიათის კანონების მიხედვით მამაკაცსა და ქალს შორის ურთიერთობა მკაცრად რეგულირდება. მორწმუნე ქალს ეკრძალება კაცთან სოციალურ კონტაქტში შესვლა, აუცილებელ შემთხვევებში (მაგ.ექიმთან ვიზიტი) მას ყოველთვის თან ახლავს ნათესავი. თანამედროვე პირობებიდან გამომდიანრე, უცხოეთში სასწავლებელად წასული მორმწუნე მდედრობითი სქესის წარმომადგენელი სტუდენტისთვის მისაღებია საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან ოთახში მარტო დარჩენა, თუმცა სხვა ყველა წესი მკაცრად უნდა იქნეს შესრულებული.

არაბული ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში მამაკაცებმა გაცილებით ადრე მიიღეს საარჩევნო ხმის მიცემის უფლება ვიდრე ქალებმა, ზოგიერთგან არჩევნებში მონაწილეობა ქალებს დღესაც ეკრძალებათ. გარდა ამისა საკმაოდ უცნაური აკრძალვებიც არსებობს მდედრობითი სქესის წარმომადგენელთათვის, მაგალითად ქალები დიდი ხნის განმავლობაში იბრძოდნენ რომ მიეღოთ მოგზაურობის უფლება მეუღლის ან მამის ნებართვის გარეშე, ცოლები ქმრებზე ფინანსურადაც არიან დამოკიდებულნი, რაც მიჯაჭვულობას ერთიორად ამძაფრებს. პოლიტიკური აქტიურობის მიუხედავად ქალებს მაღალი თანამდებობის დაკავების უფლება არ აქვთ სახელმწიფო მმართველობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ისლამური შარიათის კანონები მუსლიმურ სახელმწიფოებში მეტ-ნაკლებად მსგავსია, ქალთა უფლებებთან დაკავშირებით ვაჰაბიზმის იდეოლოგიით გამორჩეულ ქვეყნებს მაინც გაცილებით მკაცრი დამოკიდებულება აქვთ. ვაჰაბიზმისთვის მთავარი ამოსავალი წერტილი ,,ჭეშმარიტ რწმენასთან“ დაბრუნება და შესაბამისი კანონებით და ტრადიციებით ცხოვრებაა. მაგალითად, ქალებს დამოუკიდებლად არ შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება (სპეციალური გამონაკლისების გარდა) ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა სამედიცინო დახმარების მიღება, პასპორტის განაცხადის ჩაბარება, დასაქმება, ქორწინება,

განათლების მიღება. ამ ყოველდღიურად აუცილებელი საქმიანობის განსახორციელებლად მათ მეურვე მამაკაცის თანხმობა სჭირდებათ.

გენდერული ბალანსი რომ დარღვეულია ამას სასამართლო სისტემაშიც ვხედავთ, ქალების მიერ მიცემული ჩვენების ფასი ხშირ შემთხვევაში იმის ნახევარია რაც მამაკაცის მიერ მიცემულ ჩვენებას ენიჭება.

2013 წელს საუდის არაბეთში ქალებს პირველად მიენიჭათ ადვოკატის ლიცენზია,კლიენტების ინტერესების დასაცავად და საუთარი საადვოკატო კომპანიების შესაქმნელად. ბოლო წლებში გაუმჯობესდა მათი მდგომარეობა იმ მხრივ, რომ მათ თავად შეუძლიათ პირადობის მოწმობის და გაყრილი და დაქვრივებული ქალის ,,საოჯახო ბარათის" აღებაზე. [38]

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ტრანსპორტებსა და თუნდაც მეჩეთებში მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენლებს ერთად ყოფნა ერძალებათ. მათთვის ცალ-ცალკე არის გამოყოფილი ადგილები. ბიზნესის სფეროში დასაქმებული ქალისთვის შესაძლოა აიკრძალოს კომპანიის იმ ნაწილში გადასვლა, სადაც მამაკაცები მუშაობენ. სამუშაოს მაძიებელი ქალბატონებისთვის დამსაქმებელი სპეციალურ მოთხოვნას აწესებს, რაც გულისხმობს მეურვე მამაკაცისგან ოფიციალური ნებართვას დასაქმებაზე. როგორც ყველა სფეროში, განათლების მიღებაც ცალ-ცალკე ხდება გოგო-ბიჭებისთვის, სადაც ძირითად შემთხვევებში რელიგიურ დისციპლინეს და ზუსტ მეცნიერებებს ასწავლიან.

ვაჰაბიტური იდეოლოგიის ქვეყნებში და ზოგადად, მუსლიმურ სამყაროში მამა, ძმა ან ქმარი ვალდებულია იზრუნოს მისი ოჯახის წევრი ქალების რეპუტაციაზე. ,,თუ შენი ძმა ან მამა გაიგებს რომ ეწოდი ან დრო ბიჭთან ერთად გაატარე, ამას სერიოზული სკანდალი მოყვება.... დღემდე, ზრდასრულ ასაკშიც კი ვუმალავ მათ ბევრ რამეს. საუდის არაბეთის თითქმის ყველა ქალისგან გენიალური ბოროტმოქმედი გამოვიდოდა: მათ მსოფლიოში საუკეთესოდ ეხერხებათ საკუთარ

[38],,ქალთა უფლებები და უუფლებობა საუდის არაბეთში" (ბოლო ნახვა 20.05.2019)https://www.radiotavisupleba.ge/a/kalta-uflebebi-da-uufleboba-saudis-arabetshi/28760921.html

თავზე ინფორმაციის დამალვა და ზედმეტი ყურადღებისგან თავის არიდება“[39] - ერთ-ერთი ვაჰაბიტი გოგონას ინტერვიუდან მცირე ამონარიდიც კი კარგად აღწერს რეალობას რადიკალისტურად განწყობილ ქვეყნებში. სწორედ ასეთი გარემო ქმნის პირობებს განსხვავებული აზრის უკიდურესი ფორმებით გამოხატვისა (ქალთა ტერორიზმი).

აშშს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2019 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, საუდის არაბეთში ქალების უმრავლესობა სერიოზული დისკრიმინაციის ქვეშ ცხოვრობს, ბევრ მათგანს კი საკუთარ უფლებებზე წარმოდგენაც კი არ აქვთ.

ამ მიმართულებით ჩრდილოეთ კავკასიაში მდგომარეობა გაცილებით უფრო რთულადაა. ვაჰაბიტური იდეოლოგიის შერწყმით მთიანი კავკასიონის ხალხის ტრადიციებთან საკმაოდ მძიმე სურათს ვღებულობთ. შარიათის კანონების მიხედვით, აქაც ქალის უფლებები შეზღუდულია, მაღალია განათლების არ მქონე პირთა რაოდენობა, რეალურად არ არსებობს ქალების დასაქმების შესაძლებლობა. გოგონებს გარიგების საფუძველზე ადრეულ ასაკშივე ათხოვებენ, შესაბამისად მაღალია ოჯახში ძალადობის რაოდენობაც. საკუთარი ნების გარეშე შექმნილი ოჯახიდან თავის დაღწევის საშუალება უმეტეს შემთხვევაში არ არსებობს, რადგან მკაცრი ტრადიციების მსხვერპლ უმუშევარ გოგონებს წასასვლელი არსად აქვთ გარდა საკუთარი მშობლიური სახლისა, სადაც მამა, ძმა ან თუნდაც ოჯახის სხვა წევრები უკრძალავენ უკან მობრუნებას. ჩრდილოეთ კავკასიაში ძალიან ხშირია ,,ღირსების სახელით“ მდედრობითი სქესის წარმომადგენლების მკვლელობა. დადასტურებული მონაცემებით 2008-2017 წლებში ამ მოტივით 33 შემთხვევა დადგინდა (რეალური მონაცემები გაცილებით დიდია). რას გულისხმობს ,,ღირსების სახელით მკვლელობა“? ასეთი მკვლელობის მსხვერპლი ძირითადად გაუთხოვარი, ახალგაზრდა ან ქმარსგაშორებული გოგონები არიან, რომელთა შესახებაც ჭორები

[39],,რას ყვება არაბი გოგონა მუსლიმთა ცხოვრების წესზე“ (ბოლო ნახვა 20.05.2019) https://www.ambebi.ge/article/163597-ras-qveba-arabi-gogona-muslimi-kalebis-cxovrebis-cesze-titkos-18-celi-cixeshi-gavatare/?fbclid=IwAR3ZfWMjHm3cCaj9advBtDNeaxOzLI3kIXLgFervUgUfxRJ4J9EwRsVyJYw

დადიოდა და ეს დაუდასტურებელი ,,ამბავი“ ოჯახში მამააცის ყურამდე მივიდა, კაცმა კი ,,შემარცხვენელი“ ქალი სიცოცხლეს გამოასალმა. ყველაზე გასაკვირი კი ალბათ ის არის, რომ ამ რეგიონის მცხოვრებლები ასეთი სახის დამნაშავეს ხელს აფარებენ და ამართლებენ კიდეც.

ქალთა მიმართ ამგვარი დისკრედიტირებული დამოკიდებულება აღვივებს მათში პროტესტის რადიკალისტურად გამოხატვის სურვილს, რომელიც პირველივე შესაძლებლობისთანავე იჩენს ხოლმე თავს.

3.3. ქალთა შაჰიდიზმი, როგორც ასიმეტრიული სამხედრო საფრთხე

ბოლო წლებში საერთაშორისო ასპარეზზე კარგად გამოჩნდა ქალების როლი ტერორისტული საქმიანობის განხორციელებაში. მდედრობითი სქესის წარმოამდგენლები ხშირად გვევლინებიან, როგორც თვითმკვლელი ტერორისტები, მათგან მომინარე საფრთხე კი ასიმეტრიულობის პარამეტრებში ჯდება.

ისლამის მოძღვრებას გააჩნია რწმენის ხუთი ბურჯი, მათგან პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი არის აშ-შაჰაადა“ რაც გულისხმობს მუსლიმური რწმენის სიტყვიერ აღიარებას ფორმულით: „ლა ილაჰა ილლა ლლაჰუ ვა მუჰამმადუნ რასულუ ლლაჰი“ რაც ითარგმნება, როგორც ,,არა არს სხვა ღმერთი გარდა ალლაჰისა და მუჰამმადი ალლაჰის მოციქულია. ეს ფორმულა მოიაზრებს ისლამის ორ ძირითად დოგმატს: ერთღმერთიანობის აღიარებას (ათ-თაუჰიდ) და მუჰამადის სამოციქულო მისიის ცნობას (ან-ნუბუვვა). შაჰადას წარმოთქმა ყველა მუსლიმის ვალდებულებაა. საღვთო ომის დროს შაჰადა გამოიყენებოდა საბრძოლო მოწოდებად, სწორედ აქედან გაჩნდა ტერმინი შაჰიდი (მოწამე) - მოწამეობრივი სიკვდილით

დაღუპული მეომარი. შაჰიდის საქმიანობა არის ალაჰის პირდაპირი გზა სამოთხეში.[40]

ისლამის მეორე ბურჯი არის ას-სალათ - ლოცვა. ყველა მონოთეისტურ რელიგიაში ლოცვა ითვლება მორწმუნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ვალდებულებად და მას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ისლამში განასხვავებენ სამი სახის ლოცვას:

- სავალდებულო ანუ კანონიკური ლოცვები;
- დამატებითი ანუ არაკანონიკური ლოცვები;
- ნებაყოფლობითი ლოცვა - თხოვნები.

მესამე ბურჯად ისლამში ითვლება სავმი - მარხვა. ყოველი მუსლიმი ვალდებულია დაიცვას რამადანის თვეში სავალდებულო მარხვა.

მეოთხე ბურჯი ზაქათი - გულისხმობს სავალდებულო მოწყალების გაცემას და გადასახადის გადახდას. სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც ,,განზმენდა“ ე.ი. გადასახადის და მოწყალების გაცემით უნდა განიწმინდოს ის, ვისაც სიმდიდრე დაუგროვდა“.

ისალმის მეხუთე ბურჯი ჰაჯი - არის პილიგრიმობა მექაში, სარწმუნოებრივი წესების შესრულების მიზნით, რომელიც ცხოვრებაში ერთხელ მაინც აუცილებლად უნდა შეასრულოს მორწმუნემ.

ისლამის მორწმუნე მიმდევრებს ღრმად სწამთ, რომ ამ ბურჯების ზედმიწევნით დაცვითა და მათი ყოველდღიურ ცხოვრებაში გათავისებით ისინი ადგილს ალლაჰის გვერდით, სამოთხეში დაიმკვიდრებენ გარდაცვალების შემდეგ.

ტერმინი შაჰიდი ქალთან მიმართებაში პირველად იასირ არაფატმა გამოიყენა, მანამდე მუსლიმებს სჯეროდათ, რომ ქალს ჯიჰადში არ უნდა მიეღო მონაწილეობა. მას შემდეგ, როდესაც მორწმუნე შაჰიდის გზას დაადგება, მას გზიდან გადახვევა და უკან დაბრუნება არ შეუძლია. იმ წუთიდან, როდესაც უკანასკნელ მიმართვას წერ,

[40]ნ.გელოვანი, გ.სანიკიძე ,,ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია)“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2009 გვ.60.

თავის აფეთქებაზე უარს ვეღარ იტყვი. ეს საქციელი სამარცხვინო და სილაჩრის ტოლფასია, რის შემდეგადაც ამ დამღით ცხოვრების გაგრძელების უფლებას ისალმური რადიკალისტური სამყარო არ მოგცემს.

XXI საუკუნის დასაწყისში შაჰიდების ამპლუა ტერორისტულ ორგანიზაციებში მოირგეს ქალებმაც, მათი საქმიანობა ამ მიმართულებით დღითიდღე უფრო საშიში ხდება და ფართო მასშტაბებს იძენს. ერთ-ერთი ასეთი გაერთიანება არის ,,შავი ქვრივები", რომლებსაც ჩეჩენი ტერორისტული ჯგუფები იყენებდნენ აქტიურად. მათ ეს სახელწოდება გრძელი შავი კაბების გამო მიიღეს, ისინი ასეთ ტანისამოსში იმოსებოდნენ, როდესაც მონაწილეობას ღებულობდნენ ტერაქტებში (2002 წელს მევლების აყვანა მოსკოვის თეატრში, 2004 წელს მასობრივი მკვლელობა ბესალნში). ეს ქალები მზად არიან იქცენ ისლამისტური ჯიჰადის და საღვთო ომის ,,წამებულებად". რა მოტივები ამოძრავებთ ქალებს და რის გამო ხდებიან ისინი თვითმკვლელები ამის მიზეზები სკამაოდ ღრმა და მრავალფეროვანია.

პირველ რიგში ჩეჩენი ქალების რადიკალისტური მოქმედებები 90-იანი წლებიდან მოყოლებული მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ. ისინი განრისხებულნი იყვნენ უშიშიროების სამსახურის ქმედებით, რომლებმაც შეიწირეს მათი მამების, ძმების, ქმრების, შვილების, მამაკაცი ნათესავების სიცოცხლე. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხის ტრადიციებიდან გამომდინარე კი ,,სისხლის აღების" წესი ძალიან ძლიერია, რომელიც ავალდებულებს გადარჩენილი ოჯახის წევრებს გადაუხადონ სამაგიერო ნათესავების მკვლელობისთვის.

ტერორისტი ქალების ზრდის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია მისი უჩვეულობა და სიახლე. ტერორიზმის ერთ-ერთი ამერიკელი მკვლევარის ბრაიან ჯენკინსის მოსაზრებიდან გამომიდნარე ტერორიზმი არის თეატრი და აბსოლიტურად ყველა ტერორისტი თეატრალურ წარმოდგენას ამსგავსებს საკუთრ მოქმედებას. ქალთა მიერ განხორციელებული აქტები გაცილებიტ მეტ ყურადრებას იბყრობს როგორც

საზოგადოებაში ასევე მას-მედიაში და უნერგავს დიდ შიშს ადამიანებს. ეს კი ტერორისტებს საშუალებას აძლევს მარტივად მიაღწიონ დასახულ მიზნებს.[41]

ფსიქოლოგმა კლარა ბეილერმა, რომელიც აკვირდებოდა ტერორისტების სიკვდილისწინა გზავნილებს და ქმედებებს, დაასკვნა, რომ ,,ცოცხალ ჭურვად" ქცევამდე მამაკაცებს და ქალებს სხვადასხვა მიზეზი აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ მოტივები ერთი და იგივეა - რელიგიური ვალი ან თავისუფლებისთვის ბრძოლა, მამაკაცები საკუთარი იდეალების მიღწევას ცდილობენ, ქალები კი კამიკაძის როლს იმიტომ ასრულებენ, რომ იმ ცხოვრებას გაექცნენ, რაც სინამდვილეში აქვთ ან მომავალში ექნებათ, მათ უბრალოდ სურთ რომ ქალად ყოფნა შეწყვიტონ.[42]

კიდევ ერთი მიზეზი მდედრობითი სქესის აქტიურად ჩართულობისა ტერორისტულ საქმიანობაში არის ის, რომ ქალები უფრო ადვილად მართვადები არიან და მათი ,,გონების გამორეცხვა" და ახალი იდეოლოგიის ჩადება გაცილებით მარტივია, ისინი სამართალდამცავებისგანაც ნაკლებ ყურადღებას იქცევენ.

ქალი ტერორისტების ზოგადი დახასიათება შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ, ისინი, ძირითად შემთხვევებში არიან ახალგაზრდები, საშუალოდ 16-26 წლისები.[43] ზოგი მათგანი ქვრივია, გაუნათლებელი, უმუშევარი, ღარიბი ოჯახიდან, ზოგიც ამის საპირისპიროდ გათხოვილი, დასაქმებული, საკუთარი საქმის პროფესიონალი, განათლებული, შეძლებული ოჯახის წარმომადგენელი. უმეტესად ტერორისტული ორგანიზაციები გადაბირებისას სარგებლობენ ობიექტი ქალების გულუბრყვილობით, გამოუცდელობით, ენთუზიაზმით, ფინანსური გაჭირვებით, სოციალური დაუმკვიდრებლობითა თუ შურისძიების წყურვილით. "შაჰიდი, თვითმკვლელები, ცოცხალიბომბები - ამქალებსსხვადასხვაგვარადუწოდებენ, მაგრამმათიქმედებებისსქემაყოველთვისერთნაირია: ფეთქებადიქამარი,

---

[41],,როგორ ამზადებენ ტერორისტ ქალებს, ,,შავი ქვრივების გზა თვითმვლელობამდე" (ბოლო ნახვა 30.05.2019) https://reitingi.ambebi.ge/uckhoethi/5842-rogor-amzadeben-terorist-qalebs-shavi-qvrivebis-gza-thvithmkvlelobamde.html

[42]იგივე

[43],,სიკვდილის ანგელოზები" (ბოლო ნახვა 30.05.2019) http://www.tabula.ge/ge/story/52402-sikvdilis-angelozebi

ხალხმრავალიადგილი, მომაკვდინებელიაფეთქება. შედეგი: ასობითუდანაშაულოადამიანზესიცოცხლისწართმევა.[44]ტერორიზმის ისტორიაში გამოიყოფა თვითმკვლელ ტერორისტად ჩამოყალიბების ოთხი სტადია: პირველ ეტაპზე ინდივიდში ვითარდება ექსტრემისტული წარმოდგენები, ყოველდღიურობიდან გარკვეული ტიპის მოვლენების გამოყოფით; შემდეგ ეს მოვლენა კვალიფიცირდება „უსამართლოდ"; მომდევნო ეტაპზე ინდივიდი „უსამართლო მოვლენას" კონკრეტულ პოლიტიკას, პირს, ერს ან სახელმწიფოს მიაწერს, რის შედეგადაც ხდება „მტრის" ხატის ჩამოყალიბება. მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში კი ყველა საშუალება გამართლებულია.[45]

პირველი თვითმკვლელი ტერორისტი ქალი 1985 წლის 9 აპრილს გამონდა, რომელიც იყო სირიის სოციალ-ნაციონალისტური პარტიის წევრი, 16 წლის ლიბანელი გოგონა. ის ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული ავტომანქანით ისრაელის სამხედრო კოლონას დაეჯახა. შემთხვევისას ორი ებრაელი სამხედრო დაიღუპა და ორიც დაიჭრა. სწორედ ამის შემდეგ იქცნენ ტერორისტი ქალები ომის წარმოების ახალ, არაკონვენციურ იარაღად სხადასხვა ტერორისტული ორგანზაციებისთვის. [46]

ქალის გამოყენებას ტერაქტების ჩასატარებლად, ტერორისტების აზრით, თავისი უპირატესობები გააჩნია: პირველ რიგში ესაა ტაქტიკური წინსვლა. ბინებიდან გამომიდნარე ქალებს შეუძლიათ იმოქმედონ უფრო ფარულად, ვიდრე მამაკაცებს, მეტი მოულოდნელობის ეფექტი, ისინი უფრო ადვილად კვეთენ საზღვარს, იღებენ ვიზას და შედარებით იშვიათად ჩხრეკენ. რადგან საზოგადოებაში არსებობს სტერეოტიპი, ქალის სუსტი შესაძლებლობების შესახებ, ის ნაკლებად აღიქმება ძალადობრივ ინსტრუმენტად. ტერორისტები იყენებენ თვითმკვლელ ქალებს,როგორც სიმბოლოს იმისა, რომ მათი სახით ბრძოლაში მონაწლეობას იღებს

---

[44] Женское лицо террора. Призрачный рай для шахидок – http://tajmigrant.com/

[45],,სიკვდილის ანგელოზები" (ბოლო ნახვა 30.05.2019) http://www.tabula.ge/ge/story/52402-sikvdilis-angelozebi

[46]იგივე

მთელი საზოგადოება, რომ გაუსაძლისი პირობების გამო არსებული რეალობას უპირისპირდება აქამდე ნეიტრალურ მდგომარეობაში მყოფი სუსტი სქესის წარმომადგენელი.

თვითმკვლელი ქალები პირობითად ორ ჯგუფად იყოფა. პირველი ჯგუფის წარმომადგენლები არიან "შავი ქვრივები", რომლებმაც დაკარგეს ქმრები და ძმები. ისინი როგორც წესი პირდაპირ მიდიან ტერორისტული ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. მათი მოტივაცია მდგომარეობს იმაში, რომ როგორც წესი მამაკაცი მარჩენალის დაკარგვის შედეგად ირღვევა მუსლიმი ქალისთვის მიღებული კომფორტულობა სოციალურ გარემოსთან ურთიერთობაში. შესაბამისად, ქმრის დაღუპვა მუსლიმი ქალისთვის იგივეა რაც საკუთარი სიკვდილი, ამიტომ ის არის მზად შურისძიებისთის საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი, ამასთან ერთად რადიკალისტურად განწყობილი მუსლიმების გარემოცვაში მას ეკარგება უსაფრთხოების და დაცულობის შეგრძნება. ამრიგად „შავი ქვრივები“ ცდილობენ თავიანთი ძალაუფლების განმტკიცებას იმიტომ, რომ გაიღრმავონ საკუთარი იდენტობის შეგრძნება. [47]

მეორე ჯგუფში შედიან ისინი, ვისაც „ცოცხალ ბომბებად“ გადააქცევენ გადამბირებლები. ისინი ცდილობენ დაიყოლიონ ქალი თანამშრომლობაზე საკუთარი ნებით, წინააღმდგობის შემთხვევაში ემუქრებიან ნათესავების მოკვლით. ცნობილია ასევე შემთხვევები, როცა ქალს უნდა ჩამორეცხოს ოჯახს სირცხვილი და ამასთან მისი სოციალური სტატუსი, თვითონ ეძებს კონტაქტს ექსტრემისტული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.[48]

ზარემა მუჟახოევმა 24 წლის ჩეჩენმა ტერორისტმა, რომელმაც ტერორისტული აქტი ვერ განახორციელა, აღიარა, რომ ის ვაჰაბისტებს დაუკავშირდა შეგნებულად, რათა გაეწირა თავი, ნათესავების წინაშე მოეხადა ვალი და ჩამოერეცხა სირცხვილი. ,,გადამბირებლები“ შეიძლება იყვნენ ნათესავი ან ახლობელი კაცები. არსებობს სხვა

[47]თ.კოპალეიშვილი ,,გენდერი და ტერორიზმი“ თემატური სემინარი, კავასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, გვ.20https://openscience.ge/bitstream/1/123/1/Tamar%20Kopaleishvili%20-Seminari.pdf
[48]იგივე

შემთხვევებიც, ტერორიზმთან ბრძოლის ფედერალური უშიშროების სამსახურის დეპარტამენტის ცნობით, ერთ-ერთი თვითმკვლელი ტერორისტი, რომელმაც ააფეთქა საერთაშორისო სასტუმრო „ნაციონალი“, ქმარმა გარკვეული ფინანსური სარგებლის სანაცვლოდ მიჰყიდა ექსტრემისტებს.

როგორც უკვე აღვნიშნე, ქალთა რელიგიური ფანატიზმის საფუძვლები საკმაოდ ღრმა არის და მისი ძიება პირველ რიგში გარემო პირობებიდან უნდა დავიწყოთ. როგორც ჩრდილო კავკასიელები ჟურნალისტებთან საუბრებში აღნიშნავენ: ,,ხეობაში, სადაც არ არსებობს სპორტული დარბაზი, კლუბი, სადაც აკრძალულია მუსიკის ხმამაღლა მოსმენა და ხატვაც კი, ახალგაზრდებს სხვა გასაქანი, უბრალოდ, აღარ რჩებათ.“

გამომიდნარე იქიდან, რომ ჩრდილო კავკასიელ მოსახლეობაში და მათ შორის ქალებშიც ძალადობრივი ისლამისკენ მიდრეკილება დღითიდღე იზრდება და ამის ხელშემწყობი პირობებიც მოსყიდვისა და დაშინების გზით ძალიან ბერი, არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ შაჰიდი ქალების აქტიურობას უნდა ველოდოთ. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში ამ ეტაპზე თუ არ ჩავთვლით მცირე კონფლიქტებს ტერორისტული აქტების ჩატარების კუთხით სიმშვიდეა, ნებისმიერ დროს არს შესაძლებელი სიტუაციის გამწვავება და ვითარების დამძიმება. ამიტომაც, მაქსიმალურად უნდა იქნეს მობილიზებული ყურადღება შესაბამისი სტრუქტურების მხირდან, რათა ჩატარდეს შესაბამისი ღონისძიებები საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

დასკვნა

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომით წარმოჩინდა კავკასიის რეგიონში საერთაშორისო ტერორიზმის ასიმეტრიული საფრთხის მაღალი მაჩვენებელი, რაც საფრთხეს უქმნის რეგიონალური უსაფრთხოების პირობების დაცვას და სტაბილური გარემოს ჩამოყალიბებას. ჩრდილოეთ კავკასია უცხო სახელმწიფოთა მხარდაჭერილი და სადაზვერვო მიზნებით გამოყენებადი სეპარატისტული რეჟიმების არსებობის გამო, ტერორისტული საქმიანობის ორგანიზებისათვის მოწყვლად რეგიონს წარმოადგენს, გარდა ამისა, ე.წ. ,,სადაზვერვო ჯგუფები“ პროვოკაციული ქმედებებითა და ჯაშუშური საქმიანობით აქტიურად ცდილობენ ვითარების დაძაბვას და მდგომარეობის გამწვავებას. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ტერიტორიაზე განსხვავებული ტრადიციებისა და სარწმუნოების მქონე მოსახლეობა ცხოვრობს მაღალია მათზე ზემოქმედების და ანტისახელმწიფოებრივი მიზნებისთვის გამოყენების ალბათობა. ნაშრომის მიხედვით გამოიკვეთა, რომ საერთაშორისო ტერორიზმის გავლენა კავკასიაში საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ რეგიონს, არამედ სცილდება მის საზღვრებს და იძენს გლობალურ მნიშვნელობას. რადიკალისტური ისლამის იდეოლოგია ნათლად ასახავს იმ მოსალოდნელ საფრთხეებს, რასაც მისი გავრცელების შემთხვევაში უნდა ველოდოთ. გარემო

პირობებისა თუ გარე ძალების ხელშეწყობით მყარად ფესვებგადგმული სისტემის ნგრევა კი დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

სამაგისტრო ნაშრომის საკვლევი კითხვების პასუხად, საერთაშორისო ტერორიზმი თანამედროვეობის ახალი გამოწვევაა, რადგან მას გააჩნია ბრძოლის ისეთი მეთოდები, რაც აქამდე უცნობი იყო კაცობრიობისთვის. ასიმეტრიულობის პარამეტრებიდან გამომდინარე შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს ან აღმოიფხვრას ტერორისტული ტიპის საფრთხე. სწორედ ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლაც ახლებური მეთოდების შემუშავებას მოითხოვს. გამომდინარე იქიდან, რომ კავკასიის რეგიონი გამოირჩევა ხელსაყრელი მდებარეობით, ის ოდითგანვე იყო სხვადასხვა ძალის ინტერესის სფერო. თანამედროვე რეალობაში კი ასეთ ძალად საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები გვევლინებიან. მათი აქტიური სადაზვერვო თუ პროპაგანდისტული საქმიანობის შედეგად, ჩრდილოეთ კავკასიაში რადიკალისტური ისლამის იდეებმა ფართო გავრცელება ჰპოვა, რისი ერთ-ერთი გამოვლინებაც ახალი არასახელმწიფოებრივი აქტორის ,,კავკასიის ისლამური საამიროს“ შექმნა იყო.

ნაშრომში წარმოდგენილი მასალების შეჯერების და გააანალიზების შემდეგ, შიეძლება დავასკვათ, რომ შესავალში ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა დადასტურდა, ტერორიზმის პრობლემა ნამდვილად საფრთხეს უქმნის კავკასიის რეგიონულ უსაფრთხოებას და ,,კავკასიის ისლამური საამიროს“ საფრთხე გადაიზარდა ლოკალურიდან გლობალურ მასშტაბებში.

ჩრდილოეთ კავკასიაზე საერთაშორისო ტერორიზმის გავლენის დასამტიცებლად საჭირო გახდა სერთაშორისო ურთიერთოებების თეორიების გამოყენება. სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორიის მიხედვით, საშუალება გვქონდა მიმოგვეხილა ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების პირობებში რეგიონის საზოგადოების განვითარების ეტაპების კოროლაცია.

მერი კელდორის თეორია ,,ახალი ომების“ შესახებ კი პირდაპირ კავშირშია ტერორიზმის ბრძოლის მეთოდებთან, რაც სრულიად განსხვავდება წინა

საუკუნეების ბრძოლის ტექნიკისა თუ ხერხებისგან. წარმოდგენილი ნაშრომის ჰიპოთეზის დასამტიცებლად რეალიზმის სკოლის წარმოამდგენლის, ბრიუს ჰოფმანის თეორია დამეხმარა, რაც გულისხმობს ტერორიზმის, როგორც თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემის ახლებურ განმარტებას, როგორც ჰოფმანი მიიჩნევს, 21-ე საუკუნეში ტერორიზმმა შეიძინა განსაკუთრებული ნიშან-თვისებები, რომელიც ნათლად გამოიკვეთა ,,კავკასიის ისლამური საამიროს“ მაგალითზე.

სამაგისტრო ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ეფუძნება ფემინიზმის თეორიას. ქალის როლი საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებში დღითიდღე უფრო აქტიურად ვლინდება. თვითმკვლელი შაჰიდი ქალბატონები ერთგვარად უპირისპირდებიან არსებულ რეალობას და პროტესტს აღნიშნული მქედებით გამოხატავენ. ქალის როლი ისლამში მეტად საკამათო და ფართოდ სამსჯელო საკითხს წარმოადგენს. თავად ყურანის ტექსტებში და ციტატებშიცკი ორაზროვანი დამოკიდებულება არსებობს ქალის უფლებებსა და მოვალეობებზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ გარდა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებისა სამაგისტრო ნაშრომის საკვლევ კითხვებზე პასუხების გასაცემად და ჰიპოთეზის დასამტკიცებლად გამოყენებულ იქნა კვლევის მეთოდები, რაც გულისხმობდა დარგის სპეციალისტებთან შეხვედრის შედეგად მიღებული ინფორმაციის შეჯერებას, საერთაშორიოს ტერორიზმზე და კავკასიურ ვაჰაბიზმის იდეოლოგიაზე ამ დრომდე შექმნილი ნაშრომების, კვლევების თუ სტატიების განხილვას და ფაქტების ერთმანეთთან დაკავშირებას და ლოგიკური აზროვნების შედეგად დასკვნების გაკეთებას.

კავკასიის რეგიონში საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხის თავიდან ასაცილებლად საჭიროა კონტრსადაზვერვო სამსახურების ყურადღება მაქსიმალურად იქნეს მობილიზებული და უნდა შემუშავდეს ბრძოლის ახლებური მეთოდები, რადგან, როგორც ნაშრომში გამოკვეთილმა ფაქტებმა დაგვანახა

ჩრდილოეთ კავკასიაში ჩამოყალიბებულმა რადიკალისტურმა დაჯგუფებებმა შეიძლება საფრთხე რეგიონის გარდა მსოფლიოსაც შეუქმნას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბ.ჰოფმანი ,,რა არის ტერორიზმი?“ რ.არტი, რ.ჯერვისი ,,საერთაშორისო პოლიტიკა მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2011 წელი;
2. გ.გობრონიძე ,,ისლამის რადიკალიზაციის პრობლემა, სახელმწიფოს პოლიტიკა და რეგიონული თანამშრომლობის პერსპექტივები - ხედვა საქართველოდან“ კავკასიური სახლი, თბილისი 2017 წელი;
3. ე. ჰეივუდი ,,პოლიიტიკური იდეოლოგიები“ ლოგოს პრესი, თბილისი 2004 წელი;
4. ვ.მაისაია, გ.მაღრაძე, ,,21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები“ თბილისი 2017
5. ვ.მაისაია, ბ.ობოლაძე, ,,ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი XXI საუკუნეში“, გამომცემლობა თბილისი 2009წ.
6. თ.კიკნაძე, ნ.დონაძე ,,გენდერი - სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი“, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი 2006 წელი;

7. მ.კალდორი ,,ახალი და ძველი ომები“ რ.არტი, რ.ჯერვისი ,,საერთაშორისო პოლიტიკა მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2011;
8. მ.ბიჭაშვილი ,,ლექციები პოლიტიკური ძალის თეორიაში“ ,გამომცემლობა ნეკერი, თბილისი 2001;
9. ნ.გელოვანი, გ.სანიკიძე ,,ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2009წელი;
10. ნ.ფარსადანაშვილი, ,,ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ და ადამიანის უფლებათა დაცვა“, ,,ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო“ (სტატიათა კრებული), თბილისი 2011;

ინტერნეტ რესურსები:

11. ა.გუჩუა ,,საერთაშორისო ტერორიზმის ფაქტორი გლობალური უსაფრთხოების კონტექსტში“ თემატური სემინარი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი https://openscience.ge/bitstream/1/117/1/alika%20Guchua%20-Tematuri%20.pdf
12. ალ. რონდელი ,,საერთაშორისო ურთიერთობები“ მესამე განახლებული გამოცემა,(pdf ვერსია)https://www.scribd.com/document/248644993/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%94-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D-%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98
13. გ.არდაზიშვილი, კავკასიური ვაჰაბიზმი და მისი თავისებურებების მოკლე ანატომია, ჟურნალი ტაბულა, 08.2012, http://www.tabula.ge/ge/tablog/65731-kavkasiuri-vahabizmi-da-misi-taviseburebebis-mokle-anatomia (ბოლო ნახვა 10.05.2019)

14. დ.ბოლქვაძე ,,ტერორიზმი - მუდმივი საფრთხე ცვალებადი მიზნებით“ (ბოლო ნახვა 15.04.2019) http://mastsavlebeli.ge/?p=4303
15. თ.კოპალეიშვილი ,,გენდერი და ტერორიზმი“ თემატური სემინარი, კავასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი https://openscience.ge/bitstream/1/123/1/Tamar%20Kopaleishvili%20-Seminari.pdf
16. თ.კუპატაძე ,,ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობის საკითხი ირანში“, თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი 2, თბილისი 2013 (მაისი) წელი;
17. თ. ქაროსანიძე ,,ისლამური რადიკალიზმი კავკასიაში და მისი კავშირები ახლო აღმმოსავლეთის ისლამურ ფუნდამენტალიზმთან“ ახლო აღმოსავლეთი და საქართველო VIII, ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის გამომცემლობა 2014 წელი;
18. კ.ფუტკარაძე, „გადმობირების მიმართულებები, მეთოდები და ხელშემწყობი ფაქტორები“ (ბოლო ნახვა 15.05.2019) https://www.scribd.com
19. ნ.ჩიქოვანი, ,,რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში“, სოციალურ მეცნიერებათა სერია, თბილისი 2006 წელი.
20. ნ.ჯანელიძე ,,თანამედროვე ჩეჩნური ნაციონალიზმის ნიშნები და თავისებურებები“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2015 წელი;
21. ო.ერსანი ,,ქალი ისლამში მისი უფლებები და ღირსებები“ ქართველ მუსლიმანთა საზოგადოება, ბათუმი 2011 წელი;
22. პ.ნოზაძე, ,,ტერორისტული დაზვერვა თამილი ვეფხვების მაგალითზე“ (ბოლო ნახვა 17.05.2019) https://www.scribd.com
23. პიერ დე სენარკლენი, იოან არიფენი ,,საერთაშორისო პოლიტიკა თანამედროვე თეორიები და ამოცანები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2014 წელი
24. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია (ბოლო ნახვა 5.04.2019) https://mod.gov.ge/ge/page/70/saqartvelos-erovnuli-usafrtxoebis-koncefcia
25. ქ.მამედოვი ,,ეთნიკური უმცირესობების როლი დაზვერვაში“ (ბოლო ნახვა 17.05.2019) https://www.scribd.com

26. ,,ქალთა უფლებები და უუფლებობა საუდის არაბეთში“ (ბოლო ნახვა 20.05.2019) https://www.radiotavisupleba.ge/a/kalta-uflebebi-da-uufleboba-saudis-arabetshi/28760921.html
27. ,,რას ყვება არაბი გოგონა მუსლიმთა ცხოვრების წესზე“ (ბოლო ნახვა 20.05.2019) https://www.ambebi.ge/article/163597-ras-qveba-arabi-gogona-muslimi-kalebis-cxovrebis-cesze-titkos-18-celi-cixeshi-gavatare/?fbclid=IwAR3ZfWMjHm3cCaj9advBtDNeaxOzLI3kIXLgFervUgUfxRJ4J9EwRsVyJYw
28. ,,როგორ ამზადებენ ტერორისტ ქალებს, ,,შავი ქვრივების გზა თვითმვლელობამდე“ (ბოლო ნახვა 30.05.2019) https://reitingi.ambebi.ge/uckhoethi/5842-rogor-amzadeben-terorist-qalebs-shavi-qvrivebis-gza-thvithmkvlelobamde.html
29. ,,სიკვდილის ანგელოზები“ (ბოლო ნახვა 30.05.2019) http://www.tabula.ge/ge/story/52402-sikvdilis-angelozebi
30. S.Smith ,,Feminism” International Relations Theory S. Mcglinchey, R. Walters, Ch. Scheinpflug, E-International Relations Publishing, Bristol, England 2017
31. Ахмет Ярлыкапов: "Исламское государство" завоюет Северный Кавказ через интернетhttp://www.kavkaz-uzel.ru/articles/260191/
32. Выходцы сКавказа в рядах ИГ (ИГИЛ) http://www.kavkaz-uzel.ru/articles/251513/?print=true
33. Евгений Кожушко ,,Современный Тероризм”, Минск Харвест 2000
34. Женское лицо террора. Призрачный рай для шахидок –http://tajmigrant.com/